

ბიძინა ივანიშვილის მისამდე მოსვლა



რომლებსაც ეგონათ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკით დაიღალა და ქვეყნის პრობლემებზე ზრუნვასა და წუხილს თავი მიანება, რაც შარლატანების, ავანტურისტების, მედროვეების მრავალრიცხოვან ლაშქარს იმედს აძლევდა, რომ ასპარეზი მათ დარჩებოდათ.

ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ხაზგასმით თქვა, რომ ის არ აპირებს თუნდაც ერთი ნაბიჯით უკან დახევას და იმ უმნიშვნელოვანესი მონაპოვრების დათმობას, რაც მან ქართველ ხალხთან ერთად თავგანწირვის და თავდადების ფასად მოიპოვა.

მან ქართველ ხალხს ნათლად მიანიშნა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში შეპარული ხელმრუდეების და მოყაჩაღო ელემენტების მხილების და მათგან ამ სტრუქტურების გაწმენდის დრო დადგა.

ბიძინა ივანიშვილი ბრძოლის ახალ ეტაპს იწყებს და დარწმუნებული ვარ, ვეველა პატრიოტი და კეთილსინდისიერი ქართველი ამ ბრძოლაში მის გვერდით დადგება.

„ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილის მისია ჯერ არ დაწყებულა, ეს ვეველაფერი ახლა დაიწყება“... — თქვა ჩვენმა ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუში, რომელსაც „საერთო გაზეთის“ დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ და რომელიც, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუმდე ორი დღით ადრე ჩაეწერეთ.

როგორც ხედავთ, წინასწარმეტვეველური აღმოჩნდა ჩვენი რესპონდენტის სიტყვები.

მეც მეჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილს თავისი მთავარი სიტყვა ჯერ არ უთქვამს და ჯერ ის მისიაც წინ ელოდება, რომლის აღსასრულებლადაც მოვიდა ის ქართულ პოლიტიკაში.

პასტანბ სარჩილაშა

ჩემი ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა! დაბრუნდა ის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ასე ძალიან მიყვარს, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემ — პირდაპირი, უშიშარი, გულწრფელი, გულდია, ალაღ-მართალი, რომელიც მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვეველაფერს თავის სახელს არქმევს.

2018 წლის 24 ივლისს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეკრანზე, დაბრუნდა ის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში 2011 წლის შემოდგომაზე მოვიდა დაღუპვის კარამდე მისული ქვეყნის დასახსნელად და გასათავისუფლებლად.

24 ივლისის ინტერვიუთი ბევრ რამეს მოეფინა ნათელი და მათ შორის იმასაც, რა იყო პოლიტიკაში მისი მეორედ მოსვლის მიზეზი.

რაც მთავარია, რაც უპირველესია — ცივი წყალი გადაესხა იმ ადამიანების იმედებს,



ღიმიზრი ლორთქიფანიძე:

ჩემი აზრით, ივანიშვილის მისია ჯერ არ დაწყებულა, ეს ვეველაფერი ახლა დაიწყება...

კობა არაბული:

სად გაქრა მთიანეთის განვითარებისთვის გამოყოფილი 62 მილიონი?

პასტანბ სარჩილაშა:

„ვინც არ არის კახაბერი“, ანუ როცა გრიშა მიშაა

კაცობრიობა მოდელირებულ მატრიცაში ცხოვრობს?

კეჰას ბლოგი:

გაქცეული ადვოკატი და მარტო დარჩენილი მალხაზ კობაური, რომელიც ისე იხლართება საკუთარ „ალიარებებში“, რომ ეჭვი ჩნდება - საერთოდ იყო იქ, მკვლელობის დროს და ადგილას?

თამასაანეული

„თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ — 2018–2020 წლების სამთავრობო პროგრამის თანახმად, პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც რჩება საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება და გაძლიერება, დემოკრატიის მაღალ სტანდარტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ბალანსის შენარჩუნება, განათლების სექტორის ფუნდამენტური რეფორმა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეობისა და დამწვევების ბიზნესის წახალისება, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირება, მცირე, მოქნილი და ეფექტიანი საჯარო სამსახური. რამდენად რეალისტურად მიაჩნია, რას უწინებს და რას უწინებს მამუკა ბახტაძის მთავრობო პროგრამის ამავე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, შპშპ პაპაბაძე გვესაუბრა:

ვიტარებისთვის აუცილებელია წამახალისებელი ანუ შედეგითიანი ინიციატივები. ამის უფლებას თვითონ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გვაძლევს. ორგანიზაციის დებულებაში წერია, რომ თუ იმპორტი საფრთხეს უქმნის შიდა ბაზარს, ქვეყნის შეუძლია დამცავი ღონისძიებები შემოიღოს, ოღონდ არა რაოდენობრივი შეზღუდვები ანუ ქეოლა. რაც შეეხება მიკროეკონომიკას და გადასახადებს, ეს სფერო ნამდვილად გადასახდია. რაც პროგრამაში თეორიის სახით წერია, ნამდვილად მისაღება, მაგრამ ამას ძალიან დიდი გათვლა ჭირდება, რადგან სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავალს წარმოადგენს. სადმე შეცდომა თუ გაიპარა, შეიძლება პენსიების გატემის პრობლემაც კი შეიქმნას.

შევამცირით და ბაზარზე გავიდეთ. რატომღაც ამ პროგრამაში არ ჩანს, რომ მომავალზე ორიენტირებულია ქვეყანა ვართ, რაც აუცილებლად უნდა ჩაიწეროს.

— ამჟამად, ქვეყანაში ძალიან აქტუალურია მიწის უცხოელებზე გასხვისებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თემა. პასუხობს თუ არა პროგრამა ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს?

— რაც შეეხება პუნქტს, სადაც მიწის რეფორმისთვის საუბარი, მინდა სამთავრობო პროგრამის ავტორებს შევავსოთ რა გააკეთა ილია ჭავჭავაძემ ქართული მიწების გამოსასყიდად. ისეთი დემოკრატიული ქვეყანაც კი, როგორც საფრანგეთია, უცხოელ ინვესტორებზე მიწების რელიზაციას აჩერებს, თუ მის ეკონომიკაში

და იქ მცხოვრები ადამიანების დასაქმებაზე. არასწორმა პოლიტიკამ მოგვიტანა ის, რომ ალანხანის კალაპოტის შეცვლამ ტერიტორია დაგვიკარგინა. არასწორი პოლიტიკის გამო მოხდა, რომ სომხებმა გარკვეული ტერიტორია მიითვისეს და ა.შ.

— როგორც იცით, მთავრობა აპირებს საპენსიო რეფორმის განხორციელებას, რომლის მიზანი დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა გახლავთ. ჩვენს რეალობაში, რამდენად შესაძლებელია ასეთი გეგმის განხორციელება?



მთავარი ორიენტირი



— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ბატონ მამუკას მიულოცო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნა და წარმატება უუსურვო. რადაცის შექმნა ძნელია და კრიტიკა ადვილი, მაგრამ თავს უფლებას მიეცემ და ვიტყვი, რომ ახალი და ძალიან საინტერესო სამთავრობო პროგრამის მიმართ გარკვეული შენიშვნები გამაჩნია.

— კონკრეტულად, რომელი პუნქტის მიმართ და რა შენიშვნები გაქვთ?

— დავიწყებ პუნქტიდან, რომელშიც მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე საუბარი. თავად პროგრამის ავტორი აღნიშნავს, რომ ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის ძალიან რთულია თავი აარიდოს გლობალურ ეკონომიკურ რყევებს, მაგრამ იქვე ამბობს, რომ შეიძლება თავი დავიცვათ ამ პრობლემებისგან. უნდა გვასოსოვდეს, რომ ღია ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყანა, სადაც ადგილობრივი წარმოება დაბალია, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული გლობალურ ეკონომიკურ მოვლენებზე. ის ღონისძიებები, რომლებიც პროგრამაშია დასახელებული, საკმარისი არაა იმისთვის, რომ ამ პრობლემებს თავი ავარიდოთ.

— კიდევ რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს მთავრობამ გლობალური ეკონომიკური რყევებისგან ქვეყნის დასაცავად?

— ადგილობრივი წარმოების გან-

— სამთავრობო გეგმის თანახმად, მთავრობა დასაქმების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად განათლების რეფორმის განხორციელებას და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას გეგმავს. როგორ ფიქრობთ, მასობრივი უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად ეს საკმარისი იქნება?

— დასაქმების პუნქტში ძალიან ლამაზად არის ყველაფერზე საუბარი, მაგრამ ამას დეკლარაციული ხასიათი აქვს. თუ მთავრობამ ეკონომიკური პრობლემები არ მოაგვარა, დასაქმების ზრდაზე საუბარი შეუძლებელია. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დასაქმების ზრდა იწვევს ბაზარზე მოთხოვნის ზრდას. მოთხოვნის ზრდა კი დაკავშირებულია ინფლაციურ პროცესებთან. ასე რომ აქაც ძალიან ფრთხილი მიდგომაა საჭირო. აუცილებლად მინდა შევეხო პუნქტს, სადაც ლაპარაკია ბიზნეს გარემოზე. ჩემი აზრით, სამთავრობო პროგრამაში დებულების სახით უნდა ჩაიწეროს, რომ ინოვაციებზე ორიენტირებულ და ახალგაზრდა საწარმოებზე პრეფერენციული რეჟიმი განხორციელდეს. ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით მსოფლიოს იმით, რომ ინოვაციაზე ორიენტირებული საწარმოები არ გავვაჩნია. სწორედ ამაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, რომ ჩვენი და დანარჩენი ქვეყნების ეკონომიკებს შორის გარღვევა

უცხოურმა ინვესტიციამ 5% გადააჭარბა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პრობლემა პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიულ საკითხებთან, ამიტომ პროგრამაში ძალიან მკაცრად უნდა იყოს გაწერილი პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად შეზღუდავს უცხოელებზე მიწის მიყიდვას, რაც სამწუხაროდ, ამჟამად არ ჩანს. რაც შეეხება ენერჯეტიკას, ვშიშობ, რომ მსოფლიო გლობალური დათბობის პრობლემა, ამხელა „წყლის სარკეების“ შექმნა დამლუპველია, რაც სვანეთისა და რაჭის წყალდიდობებზეც დაადასტურა. თუმცა, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მცირე ჰესების მშენებლობა, რადგან ენერგორესურსების გარეშე ეკონომიკას ვერ განვავითარებთ. როცა ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად მინდა შევეხო ტურიზმს. ვფიქრობ, პროგრამაში უნდა ჩაიწეროს, რომ ტურისტული პროდუქციის მწარმოებლებისთვის შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ საწარმოების ხელშეწყობას გაითვალისწინებს. ტურისტული შემოსავალი კარგია, მაგრამ მას უკუქმედების პროცესი ახლავს. როდესაც მე ადგილზე ვერ ვაწარმოებ პროდუქციას, რომელიც ტურისტს თავისი მოგზაურობისთვის ჭირდება, მაშინ შემოტანილი თანხის ნაწილი იმპორტზე ანუ შემოტანილ პროდუქტებზე დაინარჯება.

— როგორც იცით, სამთავრობო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული პროფესიული განათლების განვითარებასა და მოტივების განათლების სისტემის რეფორმაზე. თქვენი აზრით, რამდენად და რას დამატებდით?

— სამწუხაროდ, საქართველოში ვერც ერთმა ხელისუფლებამ განათლების რეფორმა ვერ გაატარა, ამიტომ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ვფიქრობ, უნდა შეიქმნას პროფესიული სასწავლებლები და საგანმანათლებლო სივრცეზე გამოყოფილი რესურსები აქვთ უნდა მივმართოთ. საკვლევებელი სწავლა 9-ის ნაცვლად, 8 კლასი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდამ, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება არ სურს, სამი წელი არ დაეკარგოს, პროფესიის დაეუფლოს და კვალიფიციური მუშა გახდეს. სხვანაირად ჩვენ არასოდეს გვეყოლება კვალიფიციური მუშა და ყოველთვის ჩინეთიდან თუ თურქეთიდან ჩამოვყვანილი მუშახელის იმედზე ვიქნებით. როცა განათლებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ სკოლის მეთორმეტე კლასი ძალიან დიდი პრობლემაა. ყველამ იცის, რომ მეთორმეტე კლასში

— ვფიქრობ, დაგროვებით პენსიას დაახლოებით ხუთი წელი ვერ განახორციელებენ, რადგან ამისათვის ფინანსური რესურსები უნდა არსებობდეს როგორც მთავრობაში, ისე მოსახლეობაში. რაც მთავარია, ადამიანებს ნდობა აქვთ დაკარგული და ამ ხუთ წელიწადში მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორის მოპოვება.

— როგორც იცით, სამთავრობო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული პროფესიული განათლების განვითარებასა და მოტივების განათლების სისტემის რეფორმაზე. თქვენი აზრით, რამდენად და რას დამატებდით?

— სამწუხაროდ, საქართველოში ვერც ერთმა ხელისუფლებამ განათლების რეფორმა ვერ გაატარა, ამიტომ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ვფიქრობ, უნდა შეიქმნას პროფესიული სასწავლებლები და საგანმანათლებლო სივრცეზე გამოყოფილი რესურსები აქვთ უნდა მივმართოთ. საკვლევებელი სწავლა 9-ის ნაცვლად, 8 კლასი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდამ, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება არ სურს, სამი წელი არ დაეკარგოს, პროფესიის დაეუფლოს და კვალიფიციური მუშა გახდეს. სხვანაირად ჩვენ არასოდეს გვეყოლება კვალიფიციური მუშა და ყოველთვის ჩინეთიდან თუ თურქეთიდან ჩამოვყვანილი მუშახელის იმედზე ვიქნებით. როცა განათლებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ სკოლის მეთორმეტე კლასი ძალიან დიდი პრობლემაა. ყველამ იცის, რომ მეთორმეტე კლასში

არავინ დადის, მაგრამ მაინც მილიონებს ვყრიან.

საუბრის ბოლოს მინდა შევეხო ე.წ. სეპარატისტულ რეჟიმებთან ურთიერთობის საკითხს. თქვენ იცით, რომ მე ჩართული ვარ საქართველოსა და აფხაზეთის შორის სახალხო დიპლომატიკაში, ამიტომ თვალში მომხვდა, რომ პროგრამაში არ არსებობს ცხინვალის რეგიონის ან აფხაზეთის დაბრუნების რაიმე კონცეფცია. აფხაზეთი ელვდება ჩვენს პოზიციას. აფხაზეთს და ქრთველებს მივხვდით რომ შეცდომა დაეწყო, ამიტომ დაახლოვების ღ შერიგების შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ამჟამად შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის განსაკუთრებით აქტუალურია ეკოლოგიური უსაფრთხოება. ზღვის ფსკერზე არსებობს მკვდარი ბაქტერიების დაახლოებით 2 მეტრის სისქის ფენა, რომელიც გოგირდწყალბადს გამოყოფს. იქ თუ აფეთქება მოხდა, არა მარტო შავი ზღვის ქვეყნებისთვის, შეიძლება მსოფლიოსთვისაც კატასტროფის მომტანი იყოს. ამიტომ იქნებ, აფხაზეთთან მოლაპარაკების დროს, ეკოლოგიური საფრთხეების საკითხი დავსვათ. ეს ისეთი გლობალური საკითხია, რომ რუსეთიც ჩართდება, თურქეთიც, საბერძნეთიც და უკრაინაც. ამ თემაზე მე მაქვს შემუშავებული სრულიად რეალური და მომგებიანი კონცეფცია და მინდა მამუკა ბახტაძეს გადავცე თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ აფხაზეთთან საერთო ინტერესები გვექნება, ურთიერთობის ადგილზეც გაგვიადვილდება. დღეს საქართველოს წინაშე უამრავი გამოწვევა დგას, მაგრამ მჯერა, რომ მამუკა ბახტაძე დიდი პოტენციალის მქონე, ახალგაზრდა, ენერჯული კაცი სირთულეებს თავს გაართმევს.

ვფიქრობ, 2018-20 წლის სამთავრობო პროგრამა უაღრესად საყურადღებო დოკუმენტია, რომელიც ქვეყნის სწრაფი და ეფექტური განვითარების სწორი ორიენტირებზეა გათვლილი.

ნელი თორდია
571 35 36 88



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო საენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალბაშენაშვილის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სბ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდნენ რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იზაჩქვავა შპს „საგამომცემლო საენტრი“; თბილისი, ალბაშენაშვილის 39 © 2018 წლიდან აღნიშნული სახელწოდებით გამოსული.

სად გაქრა პოლიანეთის განვითარებისთვის გამოყოფილი 62 მილიონი?

წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ხევსურეთი იძულებით აყრილი და დეპორტირებული კუთხეა, რომელიც ცხრა თემისგან შედგებოდა — ხევსურები საკუთარი მიწა-წყლიდან თავისი ნებით არ წასულან!

გასული საუკუნის 50-იან წლებში ხევსურეთი კომუნისტურმა რეჟიმმა აყარა და სამეორისა და შირაქის ნახევარუდაბნოებში ჩაასახლა. ჩაასახლებულთა დიდმა ნაწილმა (უფროსმა და საშუალო თაობამ) ვერ შეძლო გარემოსთან ადაპტირება და ამოწყდა...

დღევანდელი ხევსურეთი მოსახლეობის იმ მცირე ნაწილისგან შედგება, ვინც ფარულად უკან დაბრუნება, ანუ გამოქცევა და გამოპარვა შეძლო არხილოს კალოდან, რადგანაც აკრძალული იყო ხევსურეთში ხევსურთა უკან მიბრუნება. მათ უშიშროება და მილიცია ზინგავლან, 300 არაგველის ზიდის ყურზე აპატიმრებდა და უკან აბრუნებდა.

სწორედ ამ ბარბაროსულმა ძალადობამ დაანგრია ხევსურეთის ისტორიული და ეთნო-კულტურული, ეთნო-ფსიქოლოგიური სამყარო უნიკალური სამეურნეო სისტემებით, მიწის კერძო-სათემო მფლობელობით, რჯულის (სამართლის) უმაღლესი კატეგორიებით, თანასწორთა ეგზალტირებული საზოგადოებით და აქცია იგი დემოგრაფიული და კულტურულ-ეკონომიკური „კოლაფსის“ ზონად!

მოშალა „სამშობლოს მცველთა“ მხარე, რომელიც შეუვალად იცავდა ჩრდილოეთის საზღვარს ბარბაროსული ურდოებისგან და არა ოდენ ჩრდილოეთის საზღვარს...

სწორედ ამიტომ გვეჭირდებოდა და გვეჭირდება ამ კუთხის საგანგებო ყურადღების არეალში მოქცევა.

სწორედ ამიტომ გვეჭირდებოდა და ვიბრძოდით მთის კანონის და „მთის აღორძინების ფონდის“ შესაქმნელად, რომ მთიანეთის ისტორიულ თემთა კრიზისული ვითარების დაძლევა შეგვეძლებოდა და, კერძოდ, ხევსურეთის გადარჩენა!

მაგრამ ვიტყვი, რომ „კიდევ ერთხელ“ „ამაოდ დავეშვით“ და მაღალი მთიანეთისთვის შედეგი ნულოვანი დადგა...

გაუწყებთ საგანგაშო ფაქტს: ამ

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დათვის-გველეთ-მოწმას თემიდან (რომელსაც ბრწყინვალე სამეურნეო სივრცე და ეთნო-კულტურული გარემო გააჩნია) დარჩენილი ხუთი მოსახლიდან ოთხი ახალგაზრდა ოჯახი აიყარა და წავიდა!

ამავე დროს, აქ, მამა-პაპის ნასახლარში დაბრუნების მსურველი ორი კომლი უკან მიბრუნდა! ისინი ელოდებოდნენ „რადაცას“, მთის კანონისგან და ხელისუფლებისგან (და პირადად ჩემგანაც) მაგრამ იმედი გაუცრუვდა!

ჩვენ ვერც მომსვლელს და ვერც აქ მყოფს ვერაფრით მივეხმარეთ! მთის ფონდი სარულიად უსარგებლო აღმოჩნდა მათთვის!

იცით, ეს რას ნიშნავს, ბატონო ბიძინა?! ჩვენს თვალწინ დასრულდა კიდევ ერთი უძველესი თემის ისტორია და დარჩა რამდენიმე ჩამქრალი კერა და ნასახლარი!

ბოლო ხუთი წლის მოლოდინის მერე დარჩა ერთი ქალი, ზამთარში იმანაც გამოეკეტა სახლი და სიძესთან წავიდა! ეს არის დრამატული ვითარების სიცხადე!

ვითარება ანალოგიურია სხვა მაღალ მთიანეთის თემებშიც. მეტსაც გეტყვით, მთის კანონმა მაღალი მთის კრიზისული ზონის თითო-ორილა მცხოვრებლებს მთისწინეთში კომპაქტურ დასახლებებში ჩამობერტყა. მაგალითად, ზადადის ფასანაურსა და ანანურში, უკანაფშავიდან ჟინვალში და მაღაროსკარში, არხოტი-ბაკალაიგოსა და ლიქოის თემებიდან — ბიჩინგანებსა თუ მლაშეში...

ვინაიდან მთის კანონის შეღავათები იქ უკეთ ვერცხდებოდა, სადაც კომპაქტური დასახლებებია, სადაც ღენი, გაზი, წყალი და სახელმწიფო დაწესებულებები (სკოლა, საავადმყოფო, საკრებულო და ა. შ.) ფუნქციონირებს.

ხოლო მაღალი მთიანეთის დეპრესიულ თემებში, სადაც პენსიონერები კი არ არის დარჩენილი და არანაირი დაწესებულება არ არსებობს, იქ მთის კანონი ვერ მოქმედებს, ვერ ეხმარება ახალგაზრდა ადამიანს, ვერც მუშენეს...

ხომ არის სავალალო, ერთგვარად პარადოქსული, მოულოდნელობა?

რაც შეეხება „მთიანეთის ალო-

რბინების ფონდს“ მას არ აღმოაჩნდა მაღალი მთის ზონაში მყოფი ან იქ დაბრუნების მსურველთა დახმარების „სტატუსი“... ადამიანი, რომელიც არც პენსიონერია და არც მოსამსახურე და მთაში ცხოვრება სურს, ისევე იმე დაუცველი დარჩა, როგორც იყო — სახელმწიფოს ყურადღების გარეთ...

5000-ლარიანი ონლაინ რეჟიმში გაცემული გრანტებიც მათთვის მიუწვდომელი დარჩა, რომელიც მოსწრებაზე რიგდებოდა.

მათ არ იციან ეს „ტექნოლოგიები“, მათ იციან მუშაობა და კონკრეტული დახმარება სჭირდებათ, თუნდაც სესხი, ოღონდ გრძელვადიანი და დაბალი პროცენტით საკუთარი პროექტის და იდეის განხორციელებისთვის.

მთიელებს არც ის მოეწონათ, რომ იქ „გაუსვლელობის“ 9-თვიანი რეჟიმი დაუწყეს „მთის კანონი“...

რა ქნას თუშმა, ფშველმა თუ მოხვევ მწყემსმა, რომელიც მომთაბარეობს და ბარში გამოზამთრებას სულ მცირე, 6-7 თვე სჭირდება!

მას არ ეძლევა მთიელის სტატუსი, ესეც ხომ უცოდინარობის სინდრომი!

მსგავსი რამეები უნდა შეიცვალოს „მთის კანონში“.

საგანგაშოა ის გარემოება, რომ ფონდი დაიშალა წერილ-წერილ გრანტებად და ულუფებად, იგი მიბოძრული აღმოჩნდა ფონდზე „აწარმოე საქართველოში“ და „კოოპერატივებზე“. ანუ კვლავ გადაჯაჭვული ბიუროკრატიული კლანებთან და სტრუქტურებთან!

„მთიანეთის განვითარების ეროვნული საბჭო“ დახურული (ჩაკეტილი) აღმოჩნდა ჩვენთვის, მთის კანონის შემქმნელთათვის, აკადემიისთვის, მთიანეთის კომისიისთვის...

ხომ არსამგონს „გაფანტული საღვთობა“ — ადამიანი ვერ იხსენებს სად რა დადო, იხსენებს სად რა დადო, იხსენებს სად რა დადო, იხსენებს სად რა დადო, იხსენებს სად რა დადო, იხსენებს სად რა დადო...

ამ დროს თურამ 62 მილიონი უკან დასაბრუნებელი.

საბანგაბოდ გადამავაჭრეთ: შვან-სვანური, მთიულეთ-გუდაშვილის, მაღალმთიანი ზონების დეპრესიული სივრცე-ში არაფერი გააქრებულა, შვან-



ბორივად, შვანურ ნულოვანი! არ არის ეს საბანგაბო?!
ბატონო ბიძინა! თითო ისტორიული კუთხისთვის (სულ 11 ასეთი მაღალმთიანი რეგიონია) თითო მილიონი რომ გამოგვეყო! მიზნობრივი, ეთნო-კულტურული ტრადიციული სამეურნეო მოდელებისთვის და დაბრუნებისთვის კუთხების გაცოცხლება დაწვეული იქნებოდა...

ყველა კუთხისთვის საკუთარი „კოლა“ რომ მიგვეცა ვითარებისა და საჭიროების მიხედვით, ჩვენზე ეშმაკი ვერ იცინებდა. არადა, ვტრიალებთ ერთ ჩაკეტილ საბედისწერო წრეზე და გარედან შიგნით ვერ შევდივართ!

თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ ბატონ ერეკლე ტრიპოლსკის, თუ რამდენი შესანიშნავი პროექტი წარუდგინეთ რეგიონულ კომიტეტს, რამდენი იდეა მივაწოდეთ მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს, მაგრამ „შეაფარე კედელს ცერცვი“ — „კვირკაშვილის მთის ეროვნული საბჭო“ ჩვენთვის და საზოგადოებისთვის ყრუ კედლად იქცა!..

კვირკაშვილს საკმაოდ მძაფრი წერილიც მივწერე „საერთო გაზეთში“, მაგრამ რად გინდა, „რაც არ ეწადა გიგისა, ყურებში მძიმედ მისდის!“

ის საერთოდ ვერ მოვახედეთ ჩვენსკენ... ახლა ამას არ დავწერდი და წარსულს უკან არ მივადევნებდი „ქედ“, რომ ეს მისთვის პირადად და საჯაროდ თქმული არ მქონოდა.

შემოვდივართ წინადადებით პარლამენტისა და ხელისუფლების წინაშე: უნდა გაუქმდეს და შეიცვალოს „მთიანეთის ეროვნული საბჭო“, ჩვენ ვერ შევძელით ამ „დახურულ ზონაში“ ვერც ერთი მეცნიერის, ვერც ერთი სწავლულის, ვერც ერთი აკადემიკოსის შეყვანა?!!

მთის საზოგადოება აღშფოთებულია მათი ამ „საიდუმლო სერობით“, ამ გრანტომანიით და ალბომიციემობანას თამაშით!

ბატონო ბიძინა! ისევ თქვენ უნდა მოგმართოთ თხოვნით: ისევ თქვენ უნდა გვიშველოთ! არ არის სხვა საშუალება...

არ გამოჩნდა კაცი პოლიტიკურ სივრცეში და არც ხელისუფლებაში, რომელსაც ეტყვი და მოგისმენს, რომელსაც შეეძლება პრობლემის დანახვა და გადაწყვეტა, კაცი, რომელსაც „სტკივა“ საკუთარი ქვეყანა.

დევნაბატმა ზაქარია შვენიერი და ანაგორა 200-მდე გა-

ნეზიციარის სია, რომელთაც „მთის ფონდი მხარავდა“. ორ შალისად-ნახევარში 62 მილიონად დასაბრუნებელი. არ არის ეს მცირე თანხა. სად, რაზე და როგორ „ნაწილდება“ იგი?! ეს პირადად ჩემთვის (და არა მხოლოდ ჩემთვის) გასაგებარია...

მაღალმთიანეთის ის სივრცე, სადაც მრავალი პრობლემა დგას და დემოგრაფიული კრიზისი მძინვარებს, ისევე „მკვდარ ზონად“, დარჩა, არც ერთი სინათლის სხივი არ მოძრაობს ამ „მკვდარ ტბებში“, იმედის ერთი ნაპერწკალი არ გაჩენილა ამ მილიონებიდან... ამაში არ შედის არხოტის გზები და ხიდები შატილის ჰესები, თუ მუცოს რესტავრაცია — ეს სხვა პროგრამის ნაწილია.

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ჩვენ ვთავაზობდით (და ვთავაზობთ) ხელისუფლებს ნათელ იდეას და კონკრეტულ პროექტებს. მთიანეთის თემთა გადარჩენისთვის. ამას არ იღებდა „მთის განვითარების ეროვნული საბჭო“, არც უკეთესს გვთავაზობდა, ჩაკეტა ბანკებთან ურთიერთობის ძველ „მეგობრურ“ სტერეოტიპში.

ძველი ხერხებით ჭრიან და „ხერხავენ“, ჭრიან და „ხერხავენ“! ამიტომაც, ბატონო ბიძინა, ისევ თქვენ მოგმართავთ, ადამიანს, რომელსაც შეუძლია პრობლემის დანახვა და შევლა და რაიმეს გადაარჩენა!

მაღალმთიანეთის ზოლი (მთის სოფლები სარტყელი) ისეთივეა ჩვენი ქვეყნისთვის (ერისთვის), როგორც „ოზონის გარსი“ დედამიწისთვის, მოგვერდებოდა, გაქრება ეს „გარსი“ და დავიღუპებით, ერი ამ ფატალურ დროში (უამისოდ) ვერ გადარჩება!

ბატონო ბიძინა! გაგვიწიეთ რეკომენდაცია მთავრობასთან, დაგვაწვებინონ ამ „ოზონის გარსის“ აღდგენა თუნდაც ერთი თემიდან და ეს იყოს ხევსურეთი! და იყოს დათვის-გველეთ-მოწმას ისტორიული ეთნო-კულტურული, უნიკალური სამეურნეო თემი!

იქნებ, ერთ თემში მაინც შევძლოთ, თუნდაც სანამოუძოდ ერთი მოდელის ხორცშესხმა და იმის ჩვენება, თუ რა ტიპის სამეურნეო და ეთნო-კულტურული პროექტის შეთავაზება შეიძლება არა ოდენ ხევსურთათვის, არამედ სხვა ისტორიული თემებისთვისაც...

კობა არაბული მწერალი, ეთნოლოგი



ჩემი აზრით, ივანიშვილის მისია ჯერ არ დაწყებულა, ეს ყველაფერი ახლა დაიწყება...

პირდაპირ ვთქვათ: ისეთი პრეზიდენტი გვჭირდება, რომელიც ერთიანი წარმატებით იქნება მიღებული ბრიუსელშიც, მოსკოვშიც, ვაშინგტონშიც და პეკინშიც. მოდით, ასეთი ტიპის პრეზიდენტზე ვიოცნებოთ, რისი რესურსიც გვაქვს. ჩემი აზრით, ქვეყანას ასეთი ადამიანი მინიმუმ სამი ჰყავს.

გვესაუბრება ყოფილი პარლამენტარი, უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, ამერიკის წინა პრეზიდენტები უპირობოდ უჭერდნენ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. აქვე, უპირობოდ, გვბლოკავდა გერმანია, საფრანგეთი. ტრამპმა კი განაცხადა, რომ საქართველოს ადგილი ნატოში არ არის. ჩვენ, მაინც ჯიუტად გავიმძახი: ნატოში შევდივართო. რისი მანიშნებელია ყოველივე?

ში გადმოტანის პირობის დადებით, რაც საბოლოო ჯამში, ტრამპის წარმატების გარანტორი გახდა. თუმცა, ამასთან ერთად, ტრამპის საარჩევნო კამპანიას ყოველთვის ლაიტმოტივად გასდევდა ფრაზები რუსეთის ფედერაციასთან ახალი ურთიერთობის დაწყების პირობის შესახებ. ამიტომ, ტრამპი როგორც კრემლის მიმართ ლოიალური პოლიტიკის გამტარებელი პრეზიდენტი ისე შერაცხეს, რომელიც პუტინის და ზოგადად, კრემლის გავლენის ქვეშე ექცევა, რაც საბო-

გვემავს და ახლო მომავალში არც აპირებს ამ საკითხს გადახედოს. ჩნდება კითხვა: თუ სირია და ახლო აღმოსავლეთი რუსეთის ინტერესებისთვის შორეული ბუფერია, ახლო ბუფერი სად არის? — ყველასთვის კარგად და გასაგებად ჩანს, რომ ახლო ბუფერი ეს არის მთლიანად კავკასიის რეგიონი. ამ შემთხვევაში, ამიერკავკასიაზე არ გავამახვილებ ყურადღებას იმიტომ, რომ 90-იანი წლებიდან დაწყებული ჩრდილოეთ-კავკასიაში არსებული საომარი მდგომარეობა და ამ ომის ვითარების დასტაბილურება პუტინის ადმინისტრაციისთვის ერთ-ერთი, დიდი პოლიტიკური ამოცანა იყო. მას შემდეგ რაც იქ მშვიდობამ დაისადგურა, ბუნებრივია, რუსეთის ფედერაციის მხრიდან, კავკასია როგორც ერთი მთლიანი ინტერესის სფერო ისე განიხილება. ეს კარგია თუ ცუდი, ფაქტია, რომელსაც ჩვენ სამწუხაროდ, თვალს არ ვუსწორებთ. რატომღაც, ეს დაჩემებული ნატო, ნატოს ძახილი, საბოლოოდ, იმ ბალმასკარადამდე მივიდა, რომ უკვე პუტინი კი არა ტრამპიც გვეუბნება: ნატოში საქართველოს ადგილი არ არისო. ჩვენ, მაინც არ გვინდა ამ რეალობას შევეგუოთ და როგორც თავის დროზე უსუფაშვილი აცხადებდა: უნდა ვაკაკუნებდეთ და ნატოში შესვლას ვითხოვდეთო, ეს კაკუნი კოდალას კაკუნად გადაგვექცა, რომელიც ფუტურო ხეს უკაკუნებს, იცის, რომ იქ ჭიაყელა აღარ არის, მაგრამ მაინც უკაკუნებს იმიტომ, რომ ეს მისი ერთგვარი პირობითი რეფლექსია. **ღიან, ნატოს პარზმ აპაჰნი პირობით რაფლმასჰაში გადაგვეზარდა.** საქართველოს რეალური პოლიტიკით დაკავების ნაცვლად, მამებლური პოლიტიკის წარმოება ხდება მხოლოდ იმისთვის, რომ ისეთმა მარიონეტებმა, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, საგარეო უწყებაში გვეყავს დაშტამპული, მკვდრადმოხილი განცხადებები აკეთონ. ორიოდ დღის წინ ტრამპის ადმინისტრაციამ ოფიციალური წინადადება გაუკეთა რუსეთის პრეზიდენტს, რომ შემდგომი მაღალი დონის შეხვედრა შემოდგომაზე, აშშ-ს მასპინძლობით, ვა-



შინგტონში წარმართოს. იქნება თუ არა დღის წესრიგში უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ეს ცნობილი არ არის. ფაქტია, რომ ჰელსინკიში ჩატარებულ შეხვედრებზე საქართველო მოხსენიების ღირსი არ აღმოჩნდა. ტრამპის ხისტი განცხადება საქართველოსთან მიმართებით: ამ ეტაპზე საქართველო უნდა შეეგუოს, რომ ვერ იქნება ნატოს წევრი, ეს უკვე მეტყველებს იმაზე, რომ აშშ ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენებს და მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს ცნობს. ეს რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში ახალი ფურცელია და ჩვენ როგორც არასდროს მზად უნდა ვიყოთ ამ ახალი რეალობისთვის თვალის გასასწორებლად. რაც გულისხმობს შემდეგს: 2020 წლის მოსალოდნელი არჩევნების წინ უნდა შევეცადოთ, რომ ქართულ-რუსულ დიალოგს თუნდაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ს უშუალო მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყაროს.

ან, ორივე ერთად ბოკრეასგან ან, სამივე ერთად მიშა სააკაშვილისგან? — არავითარი განსხვავება არ არის. ეს არის ერთი პოლიტიკური ძალა პირობითი სახელწოდებებით დაყოფილი. რა უნდა ქართველ ამომრჩევლებს? მას უნდა ამ ყველაფერს წერტილი დაესვას, ქვეყანას ჰქონდეს ეროვნული ინტერესისკენ სწორი მიმართება. ამ გზაზე, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ბიძინა ივანიშვილს სახალხო, ერთიანი კონსოლიდირებული ეროვნული ინტერესის გამომხატველი პოზიციისთვის დაეჭირა მხარი. ეს იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი. ერი, სახელმწიფო, რომელსაც სარწმუნოებრივ სიმბოლოდ მართმადიდებლობა აქვს, თავისი ინტერესის დაკმაყოფილებას, აუცილებლად მიაღწევს.

— ბატონო დიმა, როგორ ფიქრობთ, რაში წაადგება საქართველოს ტრამპის და პუტინის შეხვედრა?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემად, აუცილებლად, უნდა გავიხსენოთ ტრამპის განცხადების კვალდაკვალ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადება. მან, ამ შეხვედრის შემდეგ, ღიად თქვა: რუსეთი არ დაუშვებს მის საზღვრებთან ნატოს ინფრასტრუქტურის ფართომასშტაბიან გაშლას და იქ, სამხედრო ბაზების შექმნის მცდელობას. თუკი ამას ადგილი მაინც ექნება, ეს იქნება ყველაზე კრიტიკული გამოძახილი, რაზეც რუსეთი რეაგირებას მოახდენსო. რა თქმა უნდა, ასეთი მძიმე განცხადება ძალიან სწორად, პირდაპირ და იმის მიმანიშნებლად უნდა აღვიქვათ, რომ ეს სამხედრო კონფრონტაციის



— ძალიან კორექტულად და ამომწურავად დასმული კითხვაა. ტრამპის განცხადებები, მისი პრეზიდენტობის დღიდან დღემდე, ცალკე კვლევის საგანია, რაც თავისი ღრმა შინაარსითა და რეალური პოლიტიკის კომპონენტების გათვალისწინებით, ნამდვილად, დიდ ყურადღებას და მძალად შეფასებას იმსახურებს. ტრამპი არ არის ტიპიური პრეზიდენტი ტიპიურ გარემოში, როგორსაც ჩვენ, მაგალითად, დემოკრატთა მმართველობის — ობამასა და კლინტონის დროს მოვიხსენებთ, არამედ ეს არის პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი, რომელიც პირველ რიგში, აშშ-ს ნაციონალური ინტერესებიდან გამომდის. მან გააკეთა განცხადებები მექსიკასთან მაღალი გალავნის აშენების ინიციატივით დაწყებული დამთავრებული ჩინეთთან, ევროკავშირთან პრეფერენციული ვაჭრობის საკითხების გადახედვით და ძალიან ბევრი წარმოების აშშ-

ლოო ჯამში, აშშ-ს დახვედრამ გამოიხატა დადასტურა თითქოს, ტრამპის საარჩევნო კამპანიაში და მის წარმატებაში წვლილი ვლადიმერ პუტინის მიუძღვის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც დღეს პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია, ხშირ შემთხვევაში, იგერიებს „ფეიკ-ნიუსის“ მწარმოებელი მედია-საშუალებების მხრიდან. აშშ-მ კარგად უწყის, რომ დღეს, მსოფლიო ერთპოლარული აღარ არის და რუსეთის ფედერაციას, ჩინეთს მსოფლიოში თავიანთი ინტერესები გააჩნიათ. ამ თვალსაზრისით, სირიაში განვითარებული კონფლიქტი, მასში რუსეთის მონაწილეობის პოზიტიური მხარეები განმსაზღვრელი იყო იმისა, თუ რაოდენ დიდია ამ ქვეყნის ინტერესები მის ფარგლებს გარეთ და რა რეგიონებს მოიცავს. აღმოჩნდა, რომ სირია არის შორეული ბუფერი, რომელზეც პოზიციების დათმობას რუსეთი არ

ლოო ჯამში, აშშ-ს დახვედრამ გამოიხატა დადასტურა თითქოს, ტრამპის საარჩევნო კამპანიაში და მის წარმატებაში წვლილი ვლადიმერ პუტინის მიუძღვის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც დღეს პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია, ხშირ შემთხვევაში, იგერიებს „ფეიკ-ნიუსის“ მწარმოებელი მედია-საშუალებების მხრიდან. აშშ-მ კარგად უწყის, რომ დღეს, მსოფლიო ერთპოლარული აღარ არის და რუსეთის ფედერაციას, ჩინეთს მსოფლიოში თავიანთი ინტერესები გააჩნიათ. ამ თვალსაზრისით, სირიაში განვითარებული კონფლიქტი, მასში რუსეთის მონაწილეობის პოზიტიური მხარეები განმსაზღვრელი იყო იმისა, თუ რაოდენ დიდია ამ ქვეყნის ინტერესები მის ფარგლებს გარეთ და რა რეგიონებს მოიცავს. აღმოჩნდა, რომ სირია არის შორეული ბუფერი, რომელზეც პოზიციების დათმობას რუსეთი არ

თუ ბატონი ივანიშვილი აფხაზეთს და სამაჩაბლოს დაიბრუნებს, არ მოიძებნება ქართველი, რომელიც არ მოისურვებს, მცირედი მატერიალური ნვლილი შეიტანოს, რათა მას სიცოცხლეშივე ოქროს ქანდაკება ჩამოუსხას და უკვდავყოს. თუ ივანიშვილს ამის გეგმა აქვს, მთელი საქართველო მის გვერდით დადგება.

გაჩენის შესაძლებლობას ნიშნავს. როგორც ყოველთვის საქართველო მართო აღმორჩენდა-ხელე ასეთი კონფრონტაციის პროცესში და შესაძლოა წყლისა და პამპერების შემოწოდებაც კი ვეღარ შეძლოს ვერაფერს ნიშნავს იმისა, რომ თითქოს, საქართველოს ფორმალური პარტნიორები ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, ვფიქრობ, ეს პარტნიორობა ქართველი ამომრჩევლის მიერ სწორად უნდა იყოს გაანალიზებული და პარტნიორული ურთიერთობების ფარგლებში, მით უმეტეს, ტრამპის ბოლოდროინდელი განწყობების გათვალისწინებით, ჩვენ, სწორედ

ამ, ავსტრიამ, ჩეხეთმა, უნგრეთმა, ფინეთმა დაიწვეს საუბარი იმაზე, რომ მათ, სანქციების ნაწილში, რუსულ-ევროკავშირულ ურთიერთობებს უნდა გადახედონ. ანალოგიურად შეიძლება ითქვას საქართველოზე. ბუნებრივია, პატარა საქართველო პატარა ეკონომიკით მსოფლიო დიდ ეკონომიკაში არ არის ინტეგრირებული და თავის გადარჩენისთვის იბრძვის. გადარჩენის პროცესში ღრმად წილი რუსეთზე მოდის. ჩვენი საგარეო ეკონომიკური ბრუნვა მილიარდ 200 მილიონამდე გაიზარდა სწორედ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მინერალური წყლების, ღვინის და ა.შ. გატანის ხარჯზე. დღეს, სხვათა

ლის შემტანია. ცენტრში უფასო რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს ვატარებთ, მათ შორის, რამოდენიმე უნივერსიტეტის ბაზაზეც. უზარმაზარი რიგი დგას ბავშვების, რომლებიც თვლიან: ქართველმა უნდა იცოდეს როგორც ინგლისური ისე რუსული. რუსული ენა ეს არის ჩვენი სამეზობლო ურთიერთობის ენა. ქვეყნის მტერი უნდა იყო, რომ სკოლებში რუსულ ენას ებრძოდე, როგორც ეს დღეს ჩვენთან ხდება. საჭიროა მტრობით დანგრეული ურთიერთობა ახალი პერსპექტივებით შეიცვალოს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გათვალისწინებით.

— თუ ბატონი ივანიშვილი აზხანდის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარს უჭერს, როგორ უნდა იქნება მისი პოლიტიკა? — მისი პოლიტიკა არ არის უსუსრულო. მისი მოსაზრებები რუსულ საგარეო პოლიტიკას პოპულარულს ხდის. ამას, რა თქმა უნდა, პროპაგანდის ხასიათი აქვს. ზახაროვა მაღალი დონის დიპლომატია. მას საქართველო ნეგატიურ კონტექსტში არასდროს უხსენებია. მისი ნებისმიერი განცხადება ეს არის ქართულ-რუსული პოლიტიკის დაახლოების მცდელობა, რაზეც ჩვენი აქამდე არსებული მარიონეტული მთავრობები უფლებამოსილი არ იყვნენ რომ მხარი დაეჭირათ. ჩემი აზრით, რომ ივანიშვილის მისია ჯერ არ დაწყებულა, ეს ყველაფერი ახლა დაიწყო. — ბატონო დიმა, ბოლოს სამინისტრო პოლიტიკაზე მინდა გკითხოთ. ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. რას ფიქრობთ, წარდგენილ კანდიდატურებზე? — პირველად ჩემს მიერ მოცემულ ინტერვიუში პერსონებზე არ ვისაუბრებ. ის კანდიდატია მნიშვნელოვანი, რომელიც მისაღები იქნება როგორც რუსეთის ფედერაციისთვის, ისე აშშ-სთვის. პირდაპირ ვთქვათ: ისეთი პრეზიდენტი გვჭირდება, რომელიც ერთიანი წარმატებით იქნება მიღებული ბრიუსელშიც, მოსკოვშიც, ვაშინგტონშიც და პეკინშიც. მოდით, ასეთი ტიპის პრეზიდენტზე ვიოცნებოთ, რისი რესურსიც გვაქვს. ჩემი აზრით, ქვეყანას ასეთი ადამიანი მინიმუმ სამი ჰყავს, პერსონების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ოღონდ, ამაში ვაშაძეს



დაც რომ აშშ-ს უნდა ვთხოვოთ, იგი, მინიმუმ არ იყოს წინააღმდეგი იმისა, რომ საქართველო რუსეთის პირისპირ დადგეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოლაპარაკებების საკითხებში, პუტინისა და ტრამპის მოლაპარაკებების საბოლოო შედეგად ჩვენ, ვხვდებით, რომ აშშ რეგიონიდან უკან იხევს და სწორ ვარაუდს აკეთებს, თუ რა ინტერესები გააჩნია რუსეთს ამიერკავკასიაში. აი, სწორედ აქედან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.

— ბატონო დიმა, რუსეთში ნახევარ მილიონზე მეტი ქართველია წასული და აქ, საკუთარ ოჯახებს ეხმარება. პარალელურად, გვინდა, რომ რუსეთმა ჩვენი პროდუქცია საკუთარ ბაზარზე გაიტანოს და თანაც, ამ ქვეყნის ლანძღვა-გინებაში ვართ. ასეთი დამოკიდებულებით რას მივაღწევთ?

— აბსოლუტურად გეთანხმებით. დასავლეთის მხრიდან განხორციელებული სანქციების ფონზე იტალიამ უდიდესი ზიანი მიიღო, რომელიც დღემდე 7 მილიონ ევროს კარგავს. 34%-ით შემცირდა საავტომობილო ბრუნვა ფინეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რამაც შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ფინეთის სოფლის მეურნეობას, ისევე როგორც ნორვეგიას და შედეგის შედეგად პრობლემები. რუსეთი მხოლოდ დედამიწის 1/8 არ არის. იგი ბევრი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამომხმარებლო ბაზარი, ეკონომიკის მიმდებარე, შემკრები ჰაბია. ის, რომ აშშ-მ სანქციების ეს სერია განახორციელა, არ ნიშნავს, რომ ამით ევროპა არ დაზარალდა. რა თქმა უნდა, ევროპა გრძობს ამ ზიანის მასშტაბებს და იმიტომაც არის, რომ უკვე იტალი-

შორის, ორგანიზაციამ, რომელიც ყოველთვის დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის შემოწმებით, მას შემდეგ რაც საქართველოს მხრიდან კვლავ გაკეთდა ნატოს მხარდამჭერი განცხადებები, დაიდა თქვა, რომ საქართველოს ღვინის ხარისხის შემოწმება დაიწყო. ეს რას ნიშნავს? ჩნდება საფრთხე იმისა, რომ ზეგალ, პოლიტიკურ დონეზე მიიღონ გადაწყვეტილება და საქართველოს შეუჩერდეს რუსეთის ბაზარზე ღვინის შეტანა. ეს სიგნალი იყო. ეს იმ პირობებში, როდესაც 67% ექსპორტისა რუსეთის ფედერაციაზე მოდის. ღვინოების 80%-ს რუსეთის ფედერაციაში ვყიდით. ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერ გავიქცევით. სრულიად გათანხმებით შეკითხვაში: რუსეთს, ერთი მხრივ, ოკუპანტს ვეძახით, ვაგინებთ, არ ვაკლებთ ნეგატიურ ემოციას, გასაგებია, რომ ფაქტობრივო ოკუპაცია არაკეთილსმისოურნეს ამის საბაბს აძლევს. სინამდვილეში, რუსეთის ფედერაციის მხრიდან, მილიონზე მეტი ტურისტი შემოდის, წელს რეკორდი მოიხსნება, ბუმია საქართველოზე ატეხილი. ფაქტია, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არავითარი ქსენოფობია არ არსებობს. რუსები აქ თავს მშვიდად გრძობენ. პირიქით, ჩვენი ქვეყნის არაკეთილსმისოურნეობა აფინანსებენ იმგვარ კამპანიებს, რომელმაც ყველანაირად უნდა შეუშალოს ხელი ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, რაც საჯარო პოლიტიკის საწინდარია. არაკეთილსმისოურნეობმა დაინახეს, რომ სახალხო დიპლომატია იმარჯვებს. სხვათა შორის, ჩვენი „ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრიც“, ამ მიმართულებით, პატარა წვლი-



დღეს, კონფედერაციების შექმნაზე არ უნდა ვიშჯულოთ, არამედ ვისაუბროთ შემდეგზე: რუსეთი უნდა შეეგუოს იმას, რომ საქართველოში არცერთი ქართველი არ იცხოვრებს აფხაზეთის და ცხინვალის გარეშე. უბრალოდ, ჩვენს არსებობას და ქართველობას აზრი დაეკარგება. თავად პუტინმა თქვა: არ არსებობს მოვლამპარაკებელი საკითხები. მან მიუხედავად კონფედერაციისგან იხილ თქვა: აფხაზეთი სახელურის გარეშე ჩემოდანს მაგონებს, რომლის ტარებაც რთულია, მაგრამ დატოვებაც გინანება. ეს არის მესიჯები იმისა, რომ საქართველოს შეუძლია რუსეთთან გადაიკვეთოს და რაღაცაზე მოვილაპარაკოთ. — ივანიშვილმა პოლიტიკაში კვლავ მოსვლისას განაცხადა, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაიბრუნებს. როგორ გესახებათ ეს პერსპექტივა?

ჯვარსახოვანი პოლიტიკა უნდა გვქონდეს და არა ნატო, ნატო ან რუსეთი, რუსეთი, ყველასთან უნდა ვიმეგობროთ. საქართველოში ივანიშვილი მსოფლიოსთვის ახალი დემოკრატიის ბიპოლარული უნდა იყოს, ისიც კი უნდა შევამდგინოთ საპროტოკოლარო შტაბბინა სწორედ ამ ცივილიზაციისთვის დასაფარავლად იყოს. საქართველო უნდა იყოს ახალი შვეიცარია, ფინანსური ჰაბი, სატრანსპორტო დერეფნი ყველა მიმართულებით. ეს ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს. — მარია ზახაროვა გაკეთა განცხადება რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის შესახებ. რას იტყვით ამის თაობაზე? — მარია ზახაროვა ძალიან საინტერესო სპიკერია. ის შემოქ-

არ ვგულისხმობ. როცა გრიგოლ ვაშაძე 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე საგარეო მინისტრი გახლდათ, მან არჩევნებამდე თვე-ნახევრით ადრე გამოაცხადა ბრძანება, რომლითაც ჩვენს არალეგალ მოქალაქეებს (მაგალითად, ათენში აპირებდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას) ამის შესაძლებლობა აღუკვეთა. ანუ, ამ ადამიანების მიმართ პოლიტიკური დისკრიმინაცია ჩაიდინა. ასეთი ადამიანი დღეს ამბობს, რომ ჩვენი კონსტიტუციური უფლებების დაცვის გარანტი იქნება. იგი ვერაფრით იქნება კონსტიტუციის გარანტი, რამეთუ მას ერთხელ უკვე აქვს მონაწილეობა მიღებული მასშტაბურ აქტში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ და თავისი ბუნებით, ხასიათით ვოლუნტარისტია. **თამარ შველიძე**
555 23 28 24

„ვინც არ არის პასაჟერი“, ანუ როსა გრიშა შიშაა

— თუ მიშა მიხეილა, მაშინ რატომ არ არის გრიშა გრიშეილი? — დიდი ხანია, იმის ეს საჭირობოლო კითხვა ჩვენს ცნობისმოყვარე დროში, თუმცა კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს.

სხვა გრიშებისა არ ვიცი, მაგრამ ეს გრიშა (ვაშაძე) გრიშეილი არა, მაგრამ მიხეილი (საკაშვილი) ნამდვილად არის.

სწორედ მიხეილში უდგას მას სული, იქიდან არის ამობიბინებული ამოღებული და გრიშა-გრიშეილი რასაც ამიერიდან გააკეთებს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ყველაფერი მიშა-მიხეილთან იქნება შეთანხმებული-შეწონასწორებული.

არ მოხდება ეს ამბავი, მაგრამ ერთი წუთით დავეუშვათ, რომ ბატონი გრიშა მართლაც გახდა საქართველოს პრეზიდენტი.

იცით, რას გააკეთებს ის პირველი რიგში?

რას გააკეთებს და მიხეილ სააკაშვილს ყველა დანაშაულს ჩამოაწერს, საქართველოს მოქალაქეობას დაუბრუნებს და ზარ-ზეიმით ჩამოაბრძანებს მისგან გაუპატიურებულ-გაბახებულ ქვეყანაში.

ეს არის ის უმთავრესი ამოცანა, რაც ვაშაძის გაპრეზიდენტების მიღმა იმალება.

რამდენიც არ უნდა ითვალთქვინო, რამდენიც არ უნდა იბრაგუნონ მკერდში მუშტები — პატრიოტები ვართ ჩვენ და მხოლოდ ქვეყნის ბედზე ვწუხვართო, ყველანი, ვინც 17 ივლისის ბაგრატიის ტაძართან იმ სამარცხენო აქციაზე იყვნენ შეკრებილნი, „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებას უჭერდნენ მხარს,



რაც ავტომატურად ნიშნავს ქვეყნის არე-დარევის, უმართავე პროცესების და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას.

თუმცა ამ ადამიანებს ეს ამბავი ნაკლებად აღელვებთ.

მათთვის მთავარია, როგორც პოეტის ქალიშვილმა ბრძანა, როგორმე დაითრიონ პრეზიდენტის პოსტი, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს იმ შავ-ბნელი ზრახვების განხორციელებას, რაც სააკაშვილს და მის ბანდას დიდი ხანია, ჩაფიქრებული აქვთ.

აქციის წამყვანმა პოეტის ქალიშვილმა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისე, როგორც მისთვის, ასევე იქ შეკრებილი საზოგადოებისთვის კატეგორიულად მიუღებელია რუსეთთან რაიმეთი დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკური პერსონა.

კი, მაგრამ, ვინ არის გრიგოლ ვაშაძე, თუ არა მთელი თავისი ცხოვრებით და პოლიტიკური საქმიანობით

რუსეთთან პირდაპირ ჭიპით მიერთებული სუბიექტი?

ვნახოთ მცირე ამონარიდი ვაშაძის ბიოგრაფიიდან.

გრიგოლ ვაშაძე:

- სწავლობდა საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში (МГИМО, КГБ-სა და ГРУ-ს საკურატორო);

- ხსენებული ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში წამყვან თანამდებობაზე;

- მოგვიანებით მუშაობა განაგრძო სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატომური შეიარაღებისა და კოსმოსის განყოფილებაში (КГБ-სა და ГРУ-ს საკურატორო);

- 1988–1990 წლებში, მუშაობის პარალელურად, გრიგოლ ვაშაძე სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის მსმენელია (КГБ-სა და ГРУ-ს საკურატორო);

- 90-იანი წლების პირველ ნახევარში გრიგოლ ვაშაძე საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ მისიაში მუშაობდა შვეიცარიაში, მრჩევლის სტატუსით, ამ სტატუსით კი მოღვაწეობდნენ მხოლოდ სპეცსამსახურებიდან წასული დიპლომატები.

- 2008 წელს (რუსეთის საომარი აგრესიიდან მალევე) მან წერილით მიმართა რუსეთის ფედერაციის მაშინდელ კულტურის მინისტრს და სთხოვა საქართველოს დღეების ჩატარება მოსკოვში, რაც თავისთავად უცნაური ფაქტი იყო:

„მიუხედავად იმისა, მექნება თუ



და რუსეთის დემაში, რომლის დეპუტატებს ცოცხალი თავით არ ეთმობოდათ „თავიანთი სისხლი და სორცი“ ვაშაძე მოქალაქეობის ჩამოსართმევად. რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი არ გამაგონოთო, რომ ბრძანა პოეტის ქალიშვილმა და იმავე დროს რუსული ორიენტაციის კი არა, მთლად „რუს“ გრიგოლს, რუსული პოლიტიკის ბარაკიანი ტოპით გაზრდეს, რუსეთთან მეომარ გმირად რომ გვანჩქებს ხელში, ეს რით და როგორ ავსხსნათ?

პოეტის ქალიშვილი რომ ამას იკადრებს, ამის შემდეგ რა უნდა მოსთხოვო ათას ღობეზე გადამხტარ



თავი კარგა ხნის წინათ სხვა სახელმწიფოს უფეშქაშა?

რამდენიმე თავი ხომ არ აქვს ამ პატივცემულს — ერთს საქართველოს მიუძღვნის, მეორეს — რუსეთს, მესამე კიდევ დასავლეთისთვის აქვს გადახანხული?

— ჩემი გამარჯვება გარდაუვალია! გრიგოლ ვაშაძე უკვე გამარჯვებულია — მოდი და ჩაიბარე პრეზიდენტის პოსტი! — აღტაცებულ-აფოფინებულნი გაპკიოდნენ აქციის მონაწილეები და სიმშვიდეს უფრთხობდნენ მრავლის-მომსწრე და მრავლისმხანხველ ბაგრატიის ტაძარს.

— რაის გამარჯვებული ეგ არის?! მაგან ვისზე უნდა გაიმარჯვოს? ეს

საერთაშორისო დონის დიპლომატი ქუთისის მერის არჩევნებზე პირწინდად დაამარცხა ჭიღვარიამ, რომელსაც პოლიტიკური განათლება ბაღის-კიდის მიდამოებში აქვს მიღებული. ქუთისში ვერ გაიმარჯვა და საქართველოში გაიმარჯვებს ეგ საბრალო? — დააკომენტარა ვიღაცამ სოციალურ ქსელებში.

თქმით კი ამბობენ, მაგრამ გამარჯვების იმედს გულში სიღრმეში ალბათ არც გრიგოლ ვაშაძეს აქვს და არც მის მომხრეებს.

მაშინ რა უნდათ და რას იფხორებინან?

რა უნდათ და საპრეზიდენტო არჩევნების გამოყენება უნდათ არეულობის და დესტაბილიზაციის გამო-საწვევად, რომ ამ ქაოსის და დაპირის-პირების ფონზე მხოლოდ პრეზიდენტის პოსტი კი არა, ქვეყანა დაითრიონ.

ერთხელ ხომ დაითრიეს 2003 წელს, ახლა მეორედაც უნდათ დაითრიონ, აწ უკვე სამუდამოდ და სამარადისოდ.

ეს არის ის გენერალური გეგმა, რომლის ავტორიც, დიდი ალბათობით, მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც, როგორც ჩანს, მტკიცედ სჯერა, რომ ის, რაც ერთხელ უკვე გაკეთდა 2003 წელს, მეორედაც არის შესაძლებელი.

სახალხო მოძრაობად მონათლული ეს „ძალა ერთობაშია“ სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო შტაბი, სადაც მოქმედმა და ყოფილმა ნაცებმა ბოლოს და ბოლოს ერთად მოიყარეს თავი, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი ერთნი იყვნენ, ერთნი არიან და ერთნი იქნებიან მომავალშიც.

რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც გრიგოლ ვაშაძე პრეზიდენტობის კანდიდატად, კაცო, რომელსაც არ გააჩნია

არანაირი ქარიშხა, არ გააჩნია პოლიტიკური ლიდერისთვის აუცილებელი და საუკლებელი არც ერთი შტრიხი, არ აქვს პოპულარობა ამორჩევლებში, არ აქვს მაღალი კი არა თუნდაც საშუალო რეიტინგი, სამაგიეროდ, „ნაც-მოძრაობის“ და მისი ბელადის მერ შემოშავებული გეგმის განსახორციელებლად აუცილებელი ისეთი მძლავრი იარაღი, როგორც არის ძალიან მჭიდრო კავშირები ერთი მეზობელი სახელმწიფოს იმ სტრუქტურებთან, რომლებსაც თუნდაც საქართველოს მაგალითზე არაერთხელ დაუმტკიცებიათ, თუ რა სახიფათო და ყოველის-შემძლე ძალას წარმოადგენენ.

● საქართველოს ჰყავს ერთი მოუშორებელი ჭიბი, რომელიც ბედის-წერასავით აედევნა ჩვენი ქვეყნის არსებობას და მის წინსვლას და განვითარებას სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის.

ამ ჭირის თავის დროზე წითელი ინტელიგენცია უწოდეს, თუმცა ეს სახელწოდება მთლად ზუსტი არ არის — უფრო მართებული იქნებოდა, ადამიანთა ამ კატეგორიისთვის წითელი ინტელიგენცია კი არა, წითელი ელიტა გვეწოდებინა.

საუბარია საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც კომუნისტების ეპოქაში, კომუნისტების ხელდასხმით და მათი დახმარებით, ე.წ. ელიტად ჩამოყალიბდა.

კომუნისტებს ჰპერივით სჭირდებოდათ ასეთი ელიტარული საზოგადოების არსებობა, რადგან სწორედ ეს ელიტა იყო მათი ზურგის გამამგრებელი, მათი იდეოლოგიის მთავარი ფარი და მეზამრიდი.

კომუნისტები, რომლებსაც ეხერხებოდათ არაფრისა და არარაობისგან რაღაც ფსევდოლირებულების შეთითხვნა და შეკოწიება, ხშირად ხელოვნურად ქმნიდნენ ავტორიტეტებს მეცნიერებისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

ჩემს თაობას კარგად ახსოვს, როგორ „მერწავდნენ“ კომუნისტები რომელიმე საშუალო ან საშუალო-ზე დაბალი ნიჭის ადამიანებისგან „ბრწყინვალე“ პოეტებს, მწერლებს, რეჟისორებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, რომლებიც კომუნისტური რეჟიმისადმი ლოიალური და მამამლური დამოკიდებულების სანაცვლოდ განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ და სასათბურე პირობებში ცხოვრობდნენ.

კომუნისტური ეპოქის დასრულებ

თამასაანული

ბის შემდეგ დამოუკიდებლობის გზაზე შემდგომ საქართველოს სულ რაღაც ერთ წელიწადში სწორედ ამ ელიტამ ჩასცა ზურგში ლახვარი.

კრიმინალებთან, ბანდიტებთან, კაცისმკვლელებთან შეკრულმა ამ ელიტამ შეუწყო ხელი სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას და ქართველთა შიდა ომს, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

მათ მომქმეთა სისხლით აქვთ ხელები მოსვრილი...

მათ სინდისზეა ქართული სახელმწიფოს დანგრევა და ისიც, ამ ნანგრევებიდან დღემდე რომ ვერ გამოვსულვართ.

აი, ამ „გმირულ“ საქმეებსა საკუთარ თავს დიდ დამსახურებად რომ უთვლიან და ამ დამსახურებათა გამოა დღემდე რომ ითხოვენ განსაკუთრებულ პატივს და დიდებას, განსაკუთრებულ სტიპენდიებს, კომფორტულ ყოფას, ვარსკვლავების გახსნას, მათი სახელების უკვდავყოფას და ა. შ.

ზოგიერთი მათგანი უკვე არ არის ცოცხალი, მაგრამ მერე რა – მათ ნაცვლად ახლა მათი შვილები და შვილიშვილები ითხოვენ იგივეს.

სანამდე უნდა გაგრძელდეს ეს მარაზმი, ეს ცინიზმი?

რატომ გამახსენდა ეს ამბავი მაინცდამაინც ახლა, ბაგრატის ტაძართან გამართული ამ უმსგავსო და უტიფარ აქციასზე საუბრისას?

რატომ გამახსენდა და იმიტომ, რომ ამ აქციაში, თავისი პათოსით, თავისი სინტაქსით, თავისი სულიკვეთებით თვითონვე გამახსენა 90-იანი წლები, როცა ელიტის ფარისევლობით და ზუსტად ასეთი ფარისევლობით და დემაგოგიით ითხოვდნენ „დიქტატურის“ (!) დამხობას, იმაზე კი არ ფიქრობდნენ, ქვეყნისთვის რა კატასტროფული შედეგებით შეიძლება ყოველივე ეს დამთავრებულიყო. როგორც 17 ივლისის გაირკვა, ელიტას ზნე და ხასიათი არ შეუცვლია.

ის ახლაც მზად არის, იგივე გააკეთოს, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში გააკეთა და მიზნის მისაღწევად ყველაფერი იკადროს – მოიტყუოს, იცრუოს, ცილი დასწამოს, ხალხს თვალში ნაცარი შეაყაროს, შავი თეთრად გაასაღოს და პირიქით.

ისინი 17 ივლისსაც ზმირად ახსენებდნენ სიტყვა სამშობლოს, თუმცა მათ სამშობლო არც არასდროს ვგარეზობათ და არც ახლა უფრო – სამშობლო მათთვის აღებ-მიცემობის საგანია მხოლოდ, ის ასპარეზია, სადაც მათი პატივმოყვარეობა, მათი ნარცისული ეგოისტური ინსტინქტები, მათი კონფორმისტულ-მეშინური სურვილები ბოლომდე უნდა კმაყოფილდებოდეს.

კომუნისტური ეპოქიდან მოყოლებული, დღემდე ისინი თვლიან, რომ საქართველო მათი პირადი ტერიტორიაა, სადაც მათ გარეშე, მათი ნება-სურვილის და მათი თანხმობის გარეშე არაფერი არ უნდა ხდებოდეს, არაფერი არ უნდა იცვლებოდეს.

დაბოლოს, არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას ვინმეს, თითქოს გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურას მხოლოდ იმიტომ ვიწუნებდე, რომ ის წლების განმავლობაში რუსეთში მუშაობდა და რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული პირი იყო.

რუსეთში მუშაობა და რუსეთის პოლიტიკურ ელიტასთან სიახლოვე კი არ არის მიუღებელი, არამედ ის, როცა თითქოს რუსეთის დაუძინებელი მტერი ხარ და ამ დროს, არ არის გამორიცხული, მის დაჯალბებას ასრულებდე.

გრიგოლ ვაშაძეზე ეს ეჭვი მაქვს, მით უმეტეს, როცა კარგად მახსოვს ცნობილი გამოთქმა „ყოფილი კაცებეშნიკები არ არსებობენ“.

გრიგოლ ვაშაძეზე ეს ეჭვი მაქვს, მით უმეტეს, როცა კარგად მახსოვს ცნობილი გამოთქმა „ყოფილი კაცებეშნიკები არ არსებობენ“.

ჩემი პრეზიდენტი გაიზარდა, ისე გაიზარდა, სანამ ჩემი პრეზიდენტი იყო, რომ ახლა სამყაროს მმართველი ჰგონია თავი.

ჩემს გადაწყვეტილებას ელოდება ყველა, მე მიყურებენ, წარვაღებენ თუ არა კანდიდატურას და იმის მიხედვით წამოყენებენ თავის კანდიდატურას, მე რომ კანდიდატურა წამოვყენო, ქართულმა ოცნებამ თამასა უნდა აწიოსო.

აპ, ამხელაზეც, როგორ ავწევთ ახლა თამასას, ბატონო პრეზიდენტი?

ანუ, მარგველაშვილთან შესარკინებლად, სხვა ფალავანი სჭირდება ქართულ ოცნებას.

რუმბივითაა გასიებული მარგველაშვილი და ვინ წააქცევს, ვინ მოერევა, ვინ მიამახებს, ახლა, გინდა გაიტანეთ და გინდა შემოიტანეთ, ეგ თქვენი რუმბივით გასიებული ფალავანიო – სადღაა ბაში-აჩუკი.

რა ქნას მარგველაშვილმა, ისე მოეწონა პრეზიდენტობა, ისე მოეწონა, რომ კიდევ უნდა და მოკალი.

რა ტყუილად სადილობდა ხოლმე ბოკერასთან ერთად, ბოკერიაც კი განუდგა, ბოკერიაშინ კი მიატოვა, ბოკერიაშინ კი გაუცრუვდა იმედები.

ასეა, ძალი შინ არ ვარგოდა და გარეთ გარბოდაო – მოირბინა ყველა კუთხე-კუნჭული ზმის მოსაპოვებლად – მაინც ვერა რა, მაინც არა რა.

ხოდა, ზის და უკვირს, როგორ, რანაირად, აკი, მთელმა საქართველომ მისცა ზმა – სად არაან ეს ხალხნი, რატომ ვეღარ ხედავს ამ ხალხს.

ხოდა, ზის და ფიქრობს, აკი, ნაცებს სჭირდებოდათ აქამდე, თავზე ხელს უსვამდნენ აქამდე, – იმათ მაინც რაღა მოუვიდათ, ისინი მაინც რატომ განუდგნენ.

ეპ, ნაცებს მანამდე სჭირდებოდათ, სანამ ე.წ. პოლიტპატიმრების გამოშვება შეგეძლოთ, სანამ, მერაბიშვილის დაცვა შეგეძლოთ, სანამ ნაცების გაპრავება შეგეძლოთ – ახლა, ქვეშის საათი გადაბრუნებულია და ბოლო წამებს ითვლის – არც ნაცებს სჭირდებათ წყალში გარეული ღვინო – მერაბიშვილი დაიცავით და სააკაშვილის დაცვა ვერ გახდეთ, დაჟუჟეთ და ვერ გატყუებთ – ნახევარნაცი არ სჭირდებათ ნაცებს, არავის სჭირდება ნახევარ-ნახევარი სა-

ერთოდ – დაუწერელი კანონია.

მაინც ჯიუტად ეპუება, ჩემი პრეზიდენტი, ლოგიკას, მაინც ჯიუტობს და თვლის, რომ ეს არჩევნები მისი დიდგორია.

ყველაფერი გაევიგე, მივხვდი, რომ გაუტკბა და არ უნდა რეზიდენციიდან გამოსვლა, ვიცი, რომ უნდა ჩემი პრეზიდენტობა, რატომ არ ენდობება, მე ვშიშნობ, ეგ იცინის, მე მცია, ეგ ღადაობს, მე მკლავენ, ეგ თავის ხულიგან სანათესაოს უშვებს ციხიდან...

ხო, მესმის, რომ უნდა ჩემი პრეზიდენტობა, ასე, მდიდრული სექსით გართულს, ვისკის ჭიქით ხელში, რას გადავაყოლე მეც ამ ვისკს, უნდა ოფიციალურ შეხვედრებზე სიარული საზღვარგარეთ და აღარ უნდა ფილოსოფიურ ტრაქტატებზე ფიქრი – მაგრამ, ნუთუ მცირედი ეჭვიც არ ეპარება, ნუთუ, ფიქრადაც არ მოსდის, რომ ეს მან კი არ გაიმარჯვა მაშინ, არამედ ქართულმა ოცნებამ, პარტიამ გაიმარჯვა და არა ინდივიდმა?

ანუ, სხვა რომ წამოყენებინა საპრეზიდენტო კანდიდატად ქართულ ოცნებას, ვერ გაიმარჯვებდა, მხოლოდ მარგველაშვილი იყო და უმარცხებელი ფალავანი?

ვინ იცოდა მარგველაშვილი? ვინ იცნობდა მარგველაშვილს? ვინც იცნობდა, იმ თავისი ტრაქტატებით, ვის ეგონა ნორმალური? ისა და, ჩემი პრეზიდენტი, აფრენს?

ისე აფრენს, რომ საკუთარი თავი მომავალ პრეზიდენტად წარმოუდგენია პარტიის გარეშე?

კარგი, აფრენს ჩემი პრეზიდენტი, რა ექნა, არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი ვიქნები, ვისი პრეზიდენტიც აფრენს, მაგრამ, მე მოვაფრინე ეს კაცი? მე ამოვაფრინე ფილოსოფოსის ბუდიდან?

ისა და, არ აფრენდა ეს კაცი მანამდე? ნორმალური იყო გაპრეზიდენტებამდე და მე გაავაგიჟე? მე გადავივანე გონებიდან?

ხოდა, ვინ მომიფრინა და ვინ დამიფრინა ეს კაცი იქ, საიდანაც გამოსვლა არ უნდა ახლა?

სამსახურის დაწყება უნდოდა ჩემს ახლობელს და ფსიქოლოგის დასკვნა მოსთხოვეს – პრეზიდენტობა არ არის სამსხური? მოვთხოვეთ პრეზიდენტობის კანდიდატს ფსიქოს ცნობა? არ მითხრათ რომ – კი და არ მითხრათ ახლა,



რომ ეს ცნობა აქვს, თორემ, მე გავეკულები და გავეფრენ.

რა მოხდება საპრეზიდენტო კანდიდატებს ფსიქოს ცნობა რომ მოვთხოვოთ და ცოტა, აი, სულ ცოტა აიჭიუხეც რომ შევამოწმოთ?

თორემ, ქვეყანაში, სადაც არასაპრეზიდენტო მმართველობაა, ბუნებრივია, პარტია იმარჯვებს და არა კანდიდატი, ხოდა, მინდა ახლა კიდევ ერთი აფრენილი, კიდევ ერთი დაფრენილი პრეზიდენტი მე?

რა გინდა მარგველაშვილი, რეზიდენციაში იყავი? – იყავი, პრეზიდენტებს შეხვედი სხვა ქვეყნისას? – შეხვედი. სამიტებზე გამეზვიე – გიმეზვიე. უამრავ ქვეყანაში ჩაფრინდი საპრეზიდენტო თომფრინავით? – ჩაფრინდი. ხელფასს გიხდიდი დროულად? – გიხდიდი. მინახიხარ ერთხელ მაინც ხალხთან გამოსული ქუჩაში? – არა. ხოდა, რა გინდა, ადამიანო?

ყველა პარტიამ ჩაიქნია შენზე ხელი, დაგჩა უსუფაშვილი – რომელიც თავის მხრივაც კარგად აფრენს, რომელიც, თავის მხრივაც მომიფრინეს და დამიფრინეს პარლამენტში და რატომ, დღემდე ვერ ვხვდები, ვინ გვთხოვა, რესპუბლიკელების დაფრენა მთავრობაში, დღემდე ვერ გავარკვიე.

რესპუბლიკელებს ვინ აუტანიათ ბოლომდე, ვინ გაუტანიათ ბოლომდე, ვის არ განაწყენებიათ, თქვენ რომ გადაგეფარონ, ბატონო პრეზიდენტი.

ფსიქო მომიტანეთ, პატონო პრეზიდენტი, ფსიქო და აიქიუს მონაცემები – თორემ, ეჭვი მეპა-

რება უკვე და ოხერია ეჭვი.

ასეა მარგველაშვილი, ესაა სიმართლე და მომკალი, თუ გინდა, მესროლე, თუ გინდა – სიმართლე ერთია, პარტიის გარეშე, ქართული ოცნების გარეშე – პრეზიდენტს კი არა, ფილოსოფოსსაც არ გიცნობა არავინ.

ეპ, თაკო ჩარკვიანი გამახსენდა მაინც და რა ექნა – პუბლიცისტი ვარ მეო, ერთი ეგაა პუბლიცისტი და მეორე თქვენ ხართ ფილოსოფოსი, ერთი თაკო ჩარკვიანის ხმა წვეჭტს გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტებას და მეორე თქვენი ხმა გაგაპრეზიდენტებთ.

მე კი ძალიან ვიღარადებ, დიდი იმედია მაქვს, დიდი იმედი მაქვს, მომენატრებით, დიდი იმედი მაქვს, სინანულით გავიხსენებ დროს, თქვენი პრეზიდენტობისას, როცა გექილიკებოდით, როცა, თქვენს ნათქვამზე ვიცინოდით და ხალხს ვაცინებდით, როცა ზუმრობის საშუალებას მაძლევდით თქვენი ქმედებებით... მომენატრებით, ბატონო პრეზიდენტი, თქვენთვის და თქვენთან წერა მომენატრება, ჩვენი გამომდებელი ჩხუბი და კამათი მომენატრება, ანეგლოტები და ანდაზები მომენატრება, რომელსაც გიძლენდით.

ხოდა, დაე, მომენატროთ! მანამდე კი, გაეშადათ, ბატონი პრეზიდენტი თამასას სწევს თავისი კანდიდატურით, თამასას სწევს, ბატონი პრეზიდენტი, და ფეხის წვერებზე ღვას აწეული თამასით ხელში.

მაინც არ მასვენებს ერთი ოხერი კითხვა, ასე თამასაწეული პრეზიდენტი თუ გვევადა – აქამდე რატომ ვერ ვხვდებოდი, აქამდე რატომ არ ჩანდა, აქამდე რატომ არ დაეტყო ქვეყანას?

მარტო კაცი თამასაშიც ცოლოა – ხოდა, ავეწიოთ თამასა, არა, ბევრად მაღლა ავეწიოთ, მომავალ კანდიდატს თამასა, თორემ, არსებულზე ოდნავ უკეთესი, არ მეყოფა, არსებულზე ოდნავ ჭკვიანი არ დამაკმაყოფილებს, არსებულზე ცოტათი უფრო გაწონასწორებული – რას მიშველის.



ქლიერი რეპრონები



გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი სოფელ ანაშენში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. პროექტის ფარგლებში, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, მოასფალტდება 881 მეტრი სიგრძის გზა და მოეწყობა სანიაღვრე არხი. გზის მოასფალტების სამუშაოების დაწყებამდე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია და აიპი „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“ წყლის ქსელს აწესრიგებენ.

● გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი სოფელ კარდენახში, ე.წ. ტეტელთან უბნის მოსახლეობას მერის წარმომადგენელთან და დეპუტატთან ერთად შეხვდა. კარდენახელებმა ძირითად გადასატარებელ საკითხად გზა დაასახელეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიაში ტრადიციულ ყოველკვირეულ თათბირს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი შიოლაშვილთან ერთად უძღვებოდა. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ მერის მოადგილეები, პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სოფლებში მერის წარმომადგენლები.

ირაკლი შიოლაშვილმა და ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოისმინეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და შეხვედრის მონაწილეებთან ერთად მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო ალოობის პროცესს. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში თავთავიანი კულტურის აღების პროცესი დასასრულს უახლოვდება და უზემოსავლიანობით არც მიმდინარე წელია გამონაკლისი.

თათბირზე მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც განიხილეს და მუნიციპალიტეტისთვის მათ მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● ამინდის გაუარესებისა და სტიქიის გამო სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში — ანაგაში, ვაქირსა და მაშნარში შიდასაუბნო და სავარგულებთან მისასვლელი გზები დაზიანდა. სოფელ ანაგასა და ვაქირში დაზიანებულია წყალსადენი მაგისტრალი, სავარგულებთან მისასვლელი და შიდასაუბნო გზები, დაზიანებულია ელექტროსადენების ბოძები. სოფელ ილიაწმინდაში მოვარდნილმა წყალმა დატბორა სახლები.

ვითარება ადგილზე შეისწავლეს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ხატიაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად. სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად ყველა შესაბამისი სამსახური ჩართული, მიმდინარეობს ზარალის შესწავლა. ამ დროისთვის სოფელ ანაგასა და ვაქირში გზების გასაწმენდად ტექნიკა მუშაობს.

სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთვება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ხეების პრობლემა საჭიროებს სისტემურ მიდგომას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაგაში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების და შექმნილი ვითარების ადგილზე გასაცნობად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, კახეთის მხარეში სახელ-

მწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, პარლამენტის წევრი ირაკლი შიოლაშვილი და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გოგილაშვილი იმყოფებოდნენ

ღუშეთის მუნიციპალიტეტში

● სტიქია ღუშეთის მუნიციპალიტეტში: უხემა ნალექმა და მოვარდნილმა მეწყერმა რამდენიმე სოფელთან მისასვლელი გზა დააზიანა. სტიქიის ეპიცენტრს წარმოადგენდა ბოსლის ხეობა სოფ. ჩოხში, სადაც ინტენსიური წვიმის შედეგად კალაპოტიდან გადმოვიდა შავი არაგვი და დატბორა მიმდებარე ტერიტორიები.

ამ ეტაპზე, ადგილობრივი წარმომადგენლობის ძალისხმევით სოფლებთან მისასვლელი დროებითი გზა უკვე აღდგენილია. მუშაობს სტიქიის შემსწავლელი კომისია, რომელიც უმოკლეს ვადებში დაადგენს ზარალის ოდენობას.

სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი ლევან ზაუტაშვილი, ღუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ სეხნიაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა პასუხისმგებელი პირები.

მობილიზებულია ტექნიკა, მიმდინარეობს დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში დასრულდა ინოვაციებისა და ტექნოლოგი-

ების სააგენტოს რუხის ინოვაციების ცენტრის მშენებლობა. რუხის საგაგრო ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე ცენტრი მიმდინარე წლის სექტემბერში გაიხსნება.

ცენტრი აღიჭურვება ყველა იმ სერვისით, რომლებსაც თბილისისა და ზუგდიდის ტექნოპარკები სთავაზობენ მომხმარებელს. ცენტრის მეშვეობით ადგილობრივ ახალგაზრდებს, კერძო კომპანიებსა თუ მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა, გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის, მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებს განაგრძობს.



ლაგოდეხი

სოფელ ფინიხბოგორში ჩასულმა ჯონდო მდივნიშვილმა უშუალოდ მოსახლეობისგან მოისმინა, თურა აწუხებთ მათ. ადგილობრივები ძირითად პრობლემად სასმელ წყალს და მოსაწესრიგებელ სატრანსპორტო გზას ასახელებენ. მერი ფინიხბოგორელებს კომპეტენციის ფარგლებში დახმარებასა და პრობლემების გადაჭრას დაჰპირდა.

● ჯონდო მდივნიშვილმა ვაშ-

ლონის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. გზის აღდგენის მეორე ეტაპი დასასრულს უახლოვდება და სულ მალე ამ ქუჩის მცხოვრებლებს კომფორტული საგზაო ინფრასტრუქტურა ექნებათ.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარტვილში წერეთლის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. პროექტი ასევე მოიცავს თამარ მეფის, ოქტომბრის, ნ. გეგეას, შეროზიას, დადიანისა და კალინინის ქუჩების რეაბილიტაციას. ჯამში დაიგება 3 500 მეტრი ასფალტბეტონის საფარი. პროექტის ღირებულება, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება, 607 995 ლარს შეადგენს

მიმდინარე სამუშაოებს მარტ-

ვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა გაეცნო.

ჩხორწყლის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა, მერის პირველი მოადგილე გონა ჩიქოვანი, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი კახა შელია ფონდ „აფხაზინტერკონტის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე განიხილეს ის სერვისები, რომლებსაც მოიცავს პროექტი „რეგიონში დაბრუნებული მიგრანტებისთვის ეფექტიანი მხარდაჭერის გარემოს შექმნა“.

პროექტის მიზანია სამშობლოში დაბრუნებული მოქალაქეების ისეთი სერვისებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მათს გრძელვადიან და მდგრად რეინტეგრაციას, ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრის, შემოსავლების გაჩენისა და რეინტეგრაციის მდგრადი საფუძვლის შექმნას.

„აფხაზინტერკონტმა“ საქართველოს ოკუპირებული ტერი-



დედოფლისწყარო

ძლიერი საქართველოსთვის



ფოტო

ტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მიგრანტთა მხარდაჭერის პროექტის განხორციელება 2018 წლის მაისიდან დაიწყო.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიანი

ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მიმდინარეობს ტრანსპორტის კეთილმოწყობა ბაზალტის ბორდიურებით, გადასასვლელებზე იგება რკინაბეტონის საფარი, მონტაჟდება გარე განათების ბოძები.

სამუშაო პროცესს გაეცნენ ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელი და მერის მოადგილე ირაკლი თოფური.

ფარნავაზ მეფის ქუჩის ტრანსპორტის რეაბილიტაცია ცოტნე დადიანის მოედანამდე გაგრძელდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

20 ივლისის სადამო სოფელ დისველში მოსული ძლიერი წვიმისა და სეტყვის შედეგად საკარმიდამო ნაკვეთები დაზიანდა. სტიქიამ, რომელიც დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში გაგრძელდა, ადგილობრივების რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი მსუბუქად დაზიანდა,

ხოლო მერაბ ქედელიძის სახლს სახურავი მთლიანად გადახდა.

მეორე დღესვე სტიქიის ადგილზე ვითარების შესასწავლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით შერაზაძე იწვევს ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად იმყოფებოდა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სოფელი მთლიანად დაათვალიერეს და დაზარალებულ ოჯახებს დახმარება აღუთქვეს.

მერაბ ქედელიძემ უკვე გამოიძახა კერძო აუდიტი, რომელიც ზარალს შეაფასებს და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია დაზარალებულს დახმარებას აღმოუჩენს.

დმანისის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე ევროკავშირის პროექტი — „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“. პროექტი, რომელსაც ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში CENN ახორციელებს, ითვალისწინებს Wash ტექნიკურ შეფასებებს. პროექტის ფარგლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მდგომარეობა ფასდება მუნიციპალიტეტის სკოლებში, ბაღებში, თავშესაფრებსა და ამბულატორიებში.

წალკისა და თეთრიწყაროს

მუნიციპალიტეტების შემდეგ მუშაობა ამჯერად დმანისის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.

ტექნიკური შეფასების შემდეგ დამოუკიდებელი ექსპერტი ანგარიშში წარადგენს როგორც ობიექტზე არსებულ ვითარებას, ისე რეკომენდაციებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც სოფელ თამარისში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გადარჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით შემუშავებული პროექტების განხილვას, აგრეთვე თამარისის ისტორიულ ცენტრში გამავალ ქუჩაზე ტრაპეზბურგის სახელის დარქმევის საკითხს მიეძღვნა.

შეხვედრას მარნეულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის ისტორიულ ნაწილში, გერმანული პარტნიორების დახმარებით, გერმანული საცხოვრებელი სახლის შესყიდვას, რომელიც შეიძენს საზოგადოებრივ ფუნქციას და სასარგებლო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პირველი ქართველი მენარე, რომელიც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მალაშვილის მალაშვილიან დასახლებაში უნიკალური ტექნოლოგიით ქართულ ვისკის აწარმოებს

სუფთა ჰაერი, ღამაში ბუნება, შესანიშნავი ადგილი ოჯახური დასვენებისა და განტვირთვისათვის – ეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მალაშვილის მალაშვილიან დასახლება სოფელი ალექსეევკაა.

ბუნების განსაკუთრებული სიყვარულის და სიბუნების სურვილის გამო, წლების წინ ქალაქის ხმაურისაგან მოშორებით, სოფელში აგარაკი შეიძინა ერთმა თბილისურმა ოჯახმა. აქ სიხარულით ზედებიან სტუმარს. ეზოში შესულს კი აუცილებლად მიგიზიდავთ ოჯახის დიასახლისის – პროფესიით ბიოლოგის, ქალბატონი ნია ნაცვლიშვილის მიერ საკუთარი ხელით გაშენებული სხვადასხვა უნიკალური ჯიშის ვარდები, უღამაზესი ყვავილები და გემოვნებით მოწყობილი გარემო. აქვე შეხვდებით სოფელში სტუმრად მოსული ქართველი თუ უცხოელი ტურისტების მიერ დატოვებულ სამახსოვრო წარწერებს.

„ვისკი ყველაზე დემოკრატიული სასმელია“ – აღნიშნავს ალექსანდრე კვერცხიანი, რომელმაც ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების დამზადების სურვილის რეალიზებას მხოლოდ უწყვეტი შრომის და სწავლების შედეგად მიაღწია. იგი პირველი ქართველი მეწარმეა, რომელმაც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკაში, საკუთარ მარანში ვისკის მასალის მიღება ქვევრში, სიმინდისა და ქერის ნახავის სამჯერადი გამოხდით განახორციელა. წარმოებული ორიგინალური ქართული ვისკის უნიკალურობა კი გამოიხატება მისი წარმოების სპეციფიკაში. თიხა უზრუნველყოფს განსაკუთრებით სუფთა სპირტის მიღებას, რომლის დამუშავებაც შემდეგ ხდება სპეციალურ მუხის კასრებში. ასეთი ტექნოლოგიით



წარმოებული ვისკი განსაკუთრებული დამახასიათებელი გემოვნური და სხვა ორგანოლეპტიკური თვისებებით გამოირჩევა. მარანში ერთი თვის განმავლობაში იწარმოება დაახლოებით 100 ლიტრი 75 %-იანი ვისკის მასალა, რომელიც 3 წლიანი დაძველების პროცესის გავლის შემდეგ, რეალიზაციისათვის ქალაქ თბილისში გადის, პროდუქციის შექმნა ხორციელდება აგრეთვე კერძო პირების დაკვეთით. მეწარმე სამომავლოდ გეგმავს ვისკის დამზადებას ჭვავის გამოყენებით.

მარნის ექსკლუზიური პროდუქტია შარბათი „ტიფლისი“ – არომატიზირებული ღვინო, რომელიც განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით არის გამოირჩეული და დამზადებულია უძველესი ქართული ტექნოლოგიით, ძველი ქართული კარაბადინის რეცეპტის მიხედვით. არომატიზაციისთვის კი გამოყენებულია 8 სახეობის სანელებელი. შარბათმა ქართველი და უცხოელი სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

მარანში უნიკალური „შალას“ (ასურეთული შავი) ჯიშის ყურძნისგან, ევროპული ტექნოლოგიით, შეზღუდული რაოდენობით იწარმოება ღვინო „ასურეთული“. სპეციალურ საავტორო ხელნაკეთ ეტიკეტზე დატანილი კონცეფციის მთავარი იდეაა „ღვინო და ხელოვნება“ (Wine & Art). მეწარმის თქმით, კლიმატური პირობების გამო, მალაშვილიან დასახლებაში შალას ჯიშის ყურძენი მწიფობას ვერ ასწრებს, შესაბამისად აღნიშნული ყურძნის ჯიშის შექმნას ახორციელებს მევენახეებისაგან მცირე რაოდენობით.

მეწარმე სარგებლობს მალაშვილიან დასახლებაში მოქმედი საგადასახადო შედეგებით, ბიზნესის განვითარებისათვის კი ENPARD II პროგრამის ფარგლებში, გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში წარდგინდა აქვს ბიზნესიდეა და იმედოვნებს, რომ მისი პროექტის მხარდაჭერის შემთხვევაში, საშუალება მიეცემა გაზარდოს პროდუქციის წარმოება და გატანა საზღვარგარეთ.



მარნეული

ქართული სოფლის ტრაგედია

„რა ამოწყდეს გლეხიკასი, საქართველო დაკარგდეს“



შპს „აგრორემმანქანასერვისის“ დირექტორის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ექსპერტ გივი ქურდიანის განცხადებით, ნაციონალურ მმართველობის პერიოდში საგამომცემო ორგანოები თითქმის დაინტერესდნენ აგრარულ სექტორში არსებული განუკითხაობით, მაგრამ გამოძიებას ფორმალური სახე ჰქონდა.

გივი ქურდიანი: 2005 წელს გამოგზავნეს პროკურატურის სპეციალური განყოფილებიდან ოთხკაციანი ჯგუფი სოფლის მეურნეობის სამინისტროში რევიზიის ჩასატარებლად, თუმცა ეს არ ყოფილა ძირეული შემოწმება, მხოლოდ იმას ირკვევდნენ, სხვადასხვა დროს რა თანხები ჩაირიცხა სამინისტროს ანგარიშზე და მერე როგორ განაწილდა. რა საქმეს მოახმარეს „მიმღებებმა“ ეს ფული, ამას არ ამოწმებდნენ, ჩვენ მარტო სამინისტრო გვეხებოდა. ასე

ტიც ვიყავი და მათ გამომიგზავნეს ინვოისები, სადაც ყველაფერს დასახელება და ფასები ქონდა მინიჭებული. გავხსენი ყუთები, შევადგინე საბუთები და დავალაგე ნაწილები როგორც წესია, ვამატებდი ჩვენი მომსახურების თანხას მარაგ-ნაწილებს, ვყიდდი და ფულს სამინისტროს ვურიცხავდი. ამ საქონლის დოკუმენტაცია სამინისტროს აუცილებლად უნდა ჰქონოდა, მაგრამ ეგენი არაფერს ინახავდნენ. პროკურატურის წარმომადგენლებს ხსენებული დოკუმენტაცია მოეთხოვე რომ შეგვედარებინა, თქვენ ხომ გაქვით, მე ხომ შემოვიღე რამე დაგიმალოთ, უსაბუთოდ როგორ მიდიხართ შესამოწმებლად-თქო. მოკლედ, არ ვაჩვენე ჩემი დოკუმენტაცია, რაც ძალიან ეწყინათ, როგორც მითხრეს, თურმე მემუქრებოდნენ. მერე საბაჟოდან ამოუღიათ ფაქტურები და იმაზე მუშაობდნენ.

ერთიკაცი არ დაუკითხავთ, მარტო ის ეწერათ რა თანხა ჩაირიცხა სამინისტროში და შემდგომ სადა გადაირიცხა ფული. საქმის ცოდნა ერთია, მაგრამ გულიც უნდა შეგტკიოდეს ქვეყანაზე, შენი ინტერესები წინ არ უნდა დააყენო. როგორც გითხარით, ტექნიკის შესყიდვაზე თავიდან იაპონიაში ტარდებოდა ტენდერი. ბოლო ტენდერის დროს კირვალის მოადგილე სარჯველაძე, რომელიც მექანიზაციის სფეროს კურირებდა, სამუშაოდ რუსთავის აზოტის ქარხნაში გადავიდა. მინისტრის მერე მოადგილემ, რომელიც პროფესიით ეკონომისტი, ძალზე წესიერი ადამიანი იყო, მაგრამ ტექნიკაში ვერ ერკვეოდა, მთხოვა იაპონიაში წავყოლოდი, არადა ტენდერამდე სამი დღე იყო დარჩენილი. ვერც მე ვახერხებდი წასვლას, მაგრამ დაავაშვიდე, რომ კავშირზე ყოფილიყო და აქედან მივცემდი

ლიყო. დაინტერესდნენ, რას გვირჩევო, შევხვდი სარჯველაძეს, ის ახალციხელია, შემომთავაზა ახალციხეში გაგიხსნი ტექნოსერვისს, იქ ჩაიტანე შენი დანადგარები და იმუშავეო. რა მინდოდა ახალციხეში, როცა თბილისში შენობაც მაქვს და დანადგარებიც, ისედაც ერთი საწარმო რას ეყოფა, 7-8 ადგილზე მაინც უნდა იყოს სერვისცენტრი. ასეულობით კილომეტრს რომ გაატარებ შესაკეთებელ ტექნიკას, უარესად გაფუჭდება. გარდა ამისა ტრანსპორტირება ძვირი ჯდება, საწვავი და ტრანსპორტის მომსახურება ძვირია, ასე რომ, საბოლოო ჯამში ტექნიკის შეკეთება უზარმაზარი თანხა დაჯდება, ამიტომ უარი ვუთხარი სარჯველაძეს.

ითხოვდნენ. უარი ვუთხარი, ამხელა თანხა რომ შემოვიტანო, ანუ 45.000 ლარი, მერე როგორ დავფარო ეს დანაკლისი, ერთ თეთრს არ შემოვიტან-თქო. სამინისტროს წარმომადგენელმა სარჯველაძეს უთხრა, ქურდიანი უარს ამბობსო. მერე სხვებთან მოილაპარაკეს, საგარეჯოდან მონაწილეობა მიიღო ყოფილმა ქარხანამ, ვითომ იქ არის გახსნილი ცენტრი, არადა ცარიელი კედლებია, თავის დროზე მართლაც კარგი ქარხანა იყო, მაგრამ ყველაფერი გაყიდეს. დანარჩენები იყო გორში, სამტრედიასში, პანტიანში, კახეთის სხვა რაიონში და ა.შ. ტენდერი ისე ჩატარეს, რომ ჩვენ არავის არ დაგვიძახეს, ვისაც გამოცდილება და ბაზა გვქონდა. სატენდერო კომისიები მუშაობდნენ, უშიშროების სამსახურიდანაც იყო წარმომადგენელი ქალბატონი, სოფლტექნიკის ყოფილი კომისიის წევრი, დანარჩენი სულ თავიანთი ხალხი ყავდათ. ხუთიანსა და ოთხიანს იმის მიხედვით წერენ, ვის რა აქვს გაკეთებული. სარჯველაძეს კომისიის წევრებისთვის უთქვამს, გივი ქურდიანის კომპანია ამოგადეთ კონკურსიდან, მას 150.000 ლარი არ ეყოფა, მერე ცალკე გამოვუყოფთ გაცილებით მეტ თანხას, ამიტომ მინიმალური ქულები დაუწერეთო. უშიშროების თანამშრომელს გააკვირვებია, ორიანი როგორ დაუწერო ასეთ გამოცდილ კომპანიასო, მხოლოდ ამ ქალბატონმა და დავით სარიშ-



მონდა იაპონურ გრანტებთან და გენშერის „საჩუქართან“ დაკავშირებითაც, შემოწმება ფაქტობრივად სამინისტროს „ცოდვების“ დაფარვას ემსახურებოდა. ამ გამოძიებების პროფესიონალიზმი კიდევ ცალკე თემაა. ისინი ჩემთანაც მოვიდნენ სამინისტროს თანამშრომლის თანხლებით, მაგრამ სამინისტროდან ერთი დოკუმენტიც კი არ ჰქონდათ, რომლის საფუძველზეც შემამოწმებდნენ. 600.000 ლარის ღირებულების, მათ შორის 80 კომპანიის მარაგ-ნაწილები იყო ჩემთან, რაც უნდა გამეყიდა. რვა ლოტად (რვა ყუთი) იყო ეს ნაწილები, მაგრამ მათი დასახელება და თითოეულის ფასი არ იყო არ მითითებული, მხოლოდ ერთიანი ფასი ეწერა. თავის დროზე ვუთხარი სამინისტროს წარმომადგენლებს, რომ ეს ყველაფერი უნდა გაშიფრულიყო, ხომ შემძლო მომეტყუებინა, რაც მინდოდა ის ჩამეყარა ყუთებში. არავითარი რეაგირება, აზრიც არ ჰქონდა მათთან ლაპარაკს, ინგლისური მაგათ არ იციან და მუშაობა. ამის მერე მივმართე მომწოდებელ ფირმას „ტომენს“, რომლის სერვის-აგენ-

სამინისტროდან თანამშრომელი დამიკავშირდა, გამოძიებები ძალიან გაბრაზებულები არიან და ყურადღება მიაქციე ამ საქმესო. სამინისტროში მისულს ერთ-ერთმა გამოძიებელმა მითხრა, პატროსან კაცად რომ მოგაქვს თავი, ორი კვირა ვიმუშავეთ და ნახე რამდენი „კომპრომატი“ ამოგიტივტივდაო, რამდენიმე ათას დოლარზე იყო საუბარი. მათ მომზადებულ მასალებს რომ გადავხედე, გამეცინა, ვუთხარი, რომ ამ ორი კვირის ნაშრომს 15 წუთში თვითონვე დახევენ, გაუკვირდათ. 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მიგზავნიდა იაპონია მარაგ-ნაწილებს, რომელთა ფასი იენებში იყო, რომელიც ჯერ დოლარში უნდა გადაგვევანა და მერე ლარებში. ამ წლებში განმავლობაში ვალუტების კურსი ხომ იცვლებოდა, ამათ ერთი კურსი, მაქსიმუმი ჰქონდათ აღებული, იმით ანგარიშობდნენ ყველა წელზე და ხუსტ ციფრს როგორ მიიღებდნენ. ამის თქმის შემდეგ გადაამოწმეს და მართალი ყოფილხარო. მერე ხელში ჩამივარდა მათ მიერ შედგენილი ოქმი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ

რჩევას. ტენდერზე რომ გამოვიდოდა ტექნიკა, მაშინვე არ დათანხმებულყო შესყიდვაზე, ჩაეწერა მარკები და ფასები, ტელეფონით ეცნობებინა და რეალური ფასებს დაეადგენდი. მართლაც ასე მოიქცა, პირველ ორ ტენდერზე ძალიან მაღალი ფასებით იყო გამოტანილი „ბელარუსის“ ტრაქტორები, არ ვურჩიე შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში ის ფირმაც მონაწილეობდა, რომლის წარმომადგენელიც ჩემი კომპანია იყო საქართველოში. მომსახურების თანხას, 25.000 აშშ დოლარს ვკარგავდი, რომელსაც იაპონია მირიცხავდა, მაგრამ სანამ რეალური ფასი არ დაიღო, მანამდე არ ვაყიდინე, რომ სახელმწიფოს არ ეზარალა. ფასთა სხვაობით 18 ტრაქტორი დამატებით შევიძინეთ, რაც ფაქტობრივად ვაჩუქე სახელმწიფოს. აი, ეს არის პატიოსანი მუშაობა. ტექნიკას მოვლა-პატრონობა, შეკეთება ჭირდება, როგორ შეიძლება ტექნიკაზე, რომელშიც მილიონობით თანხაა გადახდილი არ იზრუნო. სამინისტროს მივწერე, სერვისცენტრები გაეხსნათ, რომ ტექნიკა არ განადგურებუ-

როგორ გადაწყდა საბოლოოდ ეგ საკითხი?
 – ტენდერის ჩატარება გადაწყვიტეს, ვითომ ამ გზით უნდა გამოველინათ ის საწარმოები, რომლებიც ტექნიკას რემონტს ჩაუტარებდა. მართალია, სარჯველაძეს ვერხუბე, მაგრამ მერე მაინც ვუთხარი რა პირობები უნდა დაეკმაყოფილებინათ ტენდერში მონაწილეებს, მით უმეტეს გამარჯვებულებს. პირველი გამოცდილება და სტაჟია, რომელი წლიდან ფუნქციონირებს კონკრეტული საწარმო, მერე მოდის ტექნიკური შეიარაღება, ქონების საბაზრო ღირებულება, წესდება და დებულება, რა უნდა გააკეთოს ამ საწარმომ. გამოაცხადეს ტენდერი, იაპონური გრანტით შექმნილი ტექნიკა ხომ იყიდებოდა, გაყიდვიდან შესული ფული გამოყვეს საპარტნიორო ფონდიდან და გაანაწილეს, ტენდერში გამარჯვებული თითოეული კომპანია 150.000 ლარს მიიღებდა. ჩემთან მოვიდა სამინისტროს თანამშრომელი, ტენდერისთვის მასალები მზადდება, თითოეულ გამარჯვებულზე 150.000 ლარი იქნება გამოყოფილი, მიიღეთ მონაწილეობა, ოღონდ ამ თანხის 30% უნდა შემოიტანო, „ატკატს“



ვილმა დამიწერეს ხუთები. ამოგედეს ჩვენი კომპანია ტენდერიდან, ერთი თვის მერე და გავიგე ტენდერი რომ ჩატარდა. სარჯველამესთან კი მიქონდა მწვევე კამათი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, ყველაფერი დამთავრებული იყო. ტენდერში „გამარჯვებულებიდან“ ერთი პლენარული ქურდი იყო, რომელსაც ბინის მეტი არაფერი ჰქონდა, ორი საგარეუკოელი ახალგაზრდა კაცი, ვითომდა ქარხნის „მფლობელები“, მესამე „გამარჯვებული“ ხაშურიანი იყო. ამ ხაშურელთან დაკავშირებით დამირეკა მერე სატენდერო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა გივი აბალაკმა, რომელმაც სამინისტროს ხელმძღვანელების კარნახით ორიანი დამიწერა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მიცნობდა, იცოდა რაც შემეძლო, ჩემი ახლობელია, აუხსენი როგორ იმუშაოსო. ამას უსინდისოს გარდა ვინ იკადრებდა?! იმ ტენდერს არავითარი შედეგი არ მოყოლია, ვერცერთმა „გამარჯვებულმა“ ვერ იმუშავა, რაც არც იყო გასაკვირი. ქუთაისში ქარხანას მილიონახევარი ლარი გადაურიცხეს, ვითომ ხარკოვიდან შემოიტანეს აგრეგატები და მიკროტრაქტორებს აწვობდნენ, რამდენიმე ააწვეეს,

იყო. მცხეთიდან და გურჯაანიდანაც ასე წაუღიათ. გამიკვირდა, როგორ უნდა გაერჩიათ, მაგრამ ბაზაზეც ასე ჯართად დაუყრიათ, ფაქტობრივად სათადარიგო ნაწილების გარეშე დატოვეს ამდენი ტექნიკა. მერე ეს უამრავი ნაწილი ვიდაცებს ერთ ლარად მივიღეს, მათ კი მაღალია გახსნის თბილისში და მამასისხლად ყიდდნენ ნაჩუქარ საქონელს. განვადებით რომ შეასყიდეს ხალხს ტექნიკა, ბევრმა მათგანმა ბოლომდე ვერ დაფარა თანხა, მერე მათაც ერთ ლარად შეასყიდა სახელმწიფომ ეს ტექნიკა, რაც თავისთავად ცუდი არ იყო, ხალხმა ისარგებლა. ჭკვიანმა ადამიანებმა იყიდეს ის კომპანიები და ტრაქტორები, მათ მუშაობაც იცოდნენ და ტექნიკის მოვლა-პატრონობაც, მაგრამ მარაგ-ნაწილები და რემონტია საჭირო ხომ. ამათ ეს ნაწილები გააჩუქეს და რემონტზეც ყველას უარი უთხრეს, კონკურენცია რომ არ გაეწიათ „მექანიზატორისთვის“. ყველაფერი ხელში რომ ჩაივადეს, „მექანიზატორმა“ შეადგინა კალკულაცია (რა ჯდება ხვანა, კულტივაცია, თესვა და ა.შ.) და ყველა სამუშაოს ცეცხლის ფასი დაადეს. კალკულაციის მიხედვით

ტექნიკას სამ წელიწადში თავისი ღირებულების სულ 4% რომ აქვს შესრულება, ეს არის მუშაობა? ამ ციფრებს მე ხომ არ ვიგონებ, სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში წერია. „ბელარუსის“ ქარხანა უნდა აშენებულიყო საქართველოში, სამინისტროს ლილოში უნდოდა აშენება. ბელორუსიდან დელეგაცია იყო ჩამოსული, ათვალეობებიდან ადგილებს, ჩემთანაც მოვიდნენ, ზემოდან ჰქონდა მითითება, რომ აქაც მოეყვანათ. კი მოიყვანეს, მაგრამ ერთი წუთი არ გააჩერეს ის ხალხი, ლილოში წაიყვანეს, აქ ჯობიაო, არადა იქ ტრიალი მინდორის მეტი არაფერია.

ირაკლი დვალის (მექანიზაციის ექსპერტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი): როცა საკმაოდ დროის განმავლობაში ასეთი მიზნული შესრულება გაქვს, ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ან დამალულია შემოსავალი, ანდა ვერ მუშაობს ტექნიკა, არ არის მორეგული ჩვენს პირობებს. ისე შემოიყვანეს ეს ტექნიკა, რომ არ გაითვალისწინეს იმუშავებდა თუ არა ჩვენთან. ბრინჯის ამდები კომპანიები (10 ერთეული) ჩვენი პირობებისთვის



თობები. იმდენი მაინც არ უნდა დამუშავებულიყო, რა რაოდენობაც 2008 წელს იყო? უკან მიდის მეტოსტენობა, კარტოფილის, ლობიოს წარმოება, ნიორიც კი ჩინეთიდან შემოაქვთ ამ უზარმაზარი დაფინანსების პირობებში.

ბიჭო შარდინაძე: გარდა ამისა, გაზრდილია საქონლის დაცემა, ბოლო სამ წელიწადში 200 000 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაეცა, დროის შემთხვევაშიც იგივე ხდება. მეფრინველეობის ფაბრიკები თუ მუშაობენ, მაგრამ ეს მათი მეპატრონეების დამსახურებაა, რადგან მთავრობა ამ დარგს საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. პირუტყვის დაცემა იმიტომაც ხდება, რომ ვეტექიმიები არ ყავთ, რაიონს, სადაც 40-60 სოფელია, სულ ორი ვეტექიმი ყავს, როგორ გაწვდება ეს ხალხი ამდენ სოფელს? სამაგიეროდ სამინისტროს აპარატში ყავთ 37 ვეტექიმი. აღარც მექანიზატორებს და მელორატორებს აშხადებენ, არც ვეტექიმებსა და ზოოტექნიკოსებს. ძველი სპეციალისტები არიან დარჩენილი, რომლებიც ისევე ძველი მეთოდებით და მედიკამენტებით მკურნალობენ, ეს რა თქმა უნდა პრობლემას ქმნის, მაგრამ ახლა რა წამლებიც შემოდის ქვეყანაში, ყველა უვარგისია, ვერაფერს შევლის. დაცემა ერთია, მაგრამ სად მიდის ამდენი დაცემული პირუტყვის ხორცი? ჩვენი ინფორმაციით, ყველა სოფელში არიან დამამზადებლები, საქონელი ვისაც მოუკვდება, მათ ურეკავს და 1 კგ ხორცს ორ ლარად აბარებენ, ეს უკანასკნელი კი ქალაქებში ყიდიან, ნაწილს სახკვების ობიექტებში აბარებენ, ნაწილს მეხვის წარმოებაში. ასე გვატყუებენ მოსახლეობას.

ირაკლი დვალის: მეცხვარეობა ტრადიციული დარგია, ესეც განადგურდა, მაგრამ მეტნაკლებად მაინც შემორჩა. ბოლო წლებში ას მილიონამდე ლარი დაიხარჯა ამ დარგზე, ამხელა თანხას რომ დახარჯავ, შესაბამისად მეცხვარეობაც უნდა აღორძინებულიყო, ცხვარიც საკმარისი უნდა გყავდეს და ხორცსაც უნდა ყიდდე, მაგრამ სინამდვილეში 800 ტონა ხორცი შემოდის საზღვარგარეთიდან. მაშინ სად წავიდა ის ას მილიონი, რაში იქნა გამოყენებული? სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა ინტერესდებოდეს უმაღლეს სასწავლებლებში კადრების მომზადებით, რამდენჯერ გვქონდა მათ წარმომადგენლებთან ამ თემაზე საუბარი, ვუხსნით,

რომ ეს აუცილებელია, მაგრამ ვერაფერი შევასმინეთ, არ აინტერესებთ. ისე, როგორ გააგებინებ, როცა არცერთი არ არის დარგის სპეციალისტი. სამინისტროში არსებობს სოფლის მეურნეობის პროგრამების სააგენტო, დიდ ფულს ხარჯავენ მაგვლის, მოცვის, მარწყვის წარმოებაზე, სამაგიეროდ, ძირითად პროდუქტებზე, როგორიცაა ხორბალი, სიმინდი, ჩაი, ბოსტნეული, არავითარი პროგრამა არ არსებობს. სახელმწიფომ პირველ რიგში ის უნდა აწარმოოს, რაც მოსახლეობას ყველაზე მეტად ესაჭიროება, ეს არის პური, ყოველდღიური საკვები პროდუქტი. ამ დროს, საერთოდ არ ექცევა ყურადღება ხორბლის, ქერის, ბოსტნეული კულტურების, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, მთავარი რაც არის, იმას არ აქცევენ ყურადღებას. მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენთან ყველაზე განვითარებული დარგია, ბიუჯეტიდან ისევე ამ დარგზე გამოყოფილი 25 მილიონი დარგი, ხორბლის წარმოებაზე კი ერთი თეთრი ვერ გაიმეტეს. ქვეყნის გარედან ამით არავინ კარნახობს რა გააკეთონ, ნურავის დავადანაუშელებთ, რომ ჩვენს საქმეში ერევიან, თვითონ ადგენენ ამ პროგრამებს. სხვათა შორის, მე თვითონ შევადგინე ოთხი წლის წინ პროგრამა, რომ აგრარულ სექტორში დასაქმებული ადამიანებისთვის განათლება მიგვეცა — რა დროს და როგორ უნდა დაიხმას მიწა, როდის უნდა დაითესოს, რომ მაღალი მოსავალი მიიღონ, მექანიზატორებისთვის აგვეხსნა, როგორ მოუარონ ტექნიკას. ეს პროგრამა მივუტანე მინისტრს (ოთარ დანელია), სამინისტროს სამეცნიერო ცენტრს, შპს „მექანიზატორის“ ხელმძღვანელობას, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, ვეროკავშირის წარმომადგენლობას, მათ ყავთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ყველამ დადებითად შეაფასა. სამინისტროში მითხრეს, განვიხილავთ, პასუხისთვის მოგვიანებით მობრძანდითო. სამი თვის მერე მივაკითხე, რომელ განხილვა-განხორციელებაზეა საუბარი, როცა სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში (ხელმძღვანელი გეოგრაფ-გეოლოგი კოტე ხუცაიძე) ორი საათი ეძებეს ეს პროგრამა, სადღაც თაროზე ჰქონდათ შემოდებული.

მანანა სუნიგვილი
599 51 28 24



აჩვენეს შევარდნაძეს, ეს იყო და ეს. მთლიანად ჩაკლეს მუშაობა, რემონტიც აღარსად ტარდებოდა. 2009 წელს ბრძანება გამოცხეს და მთლიანად ჩამოართვეს ის მარაგ-ნაწილები, რომლითაც რემონტს ვატარებდი. ჩემს მოვალეობაში კადრების მომზადებაც შედიოდა, რა ტექნიკაც შემოვიღე, ორი წლის განმავლობაში მომსახურეობას ვუწვევდით, თუ ეს ტექნიკა გაფუჭდებოდა, ადგილზე ჩადიოდნენ ჩვენი წარმომადგენლები და არემონტებდნენ. თუ „მექანიზატორის“ მიხეზით ფუჭდებოდა, მას უნდა გადაეხადა მარაგ-ნაწილის და შეკეთების თანხა, თუ ქარხნული წუნი იყო, აქტი დგებოდა, ფოტოებს გადავიღებდით და ქარხანა უფასოდ გვიგზავნიდა სათადარიგო ნაწილებს, არასდროს დაუგვიანებიათ. 20-25 ათასაშუალოლარამდე გრანტსაც წინასწარ მაძლევდნენ, რომ სარემონტო სამუშაოები ჩაგვეტარებინა.

ხსენებული ბრძანება რომ მივიღე, ჩავაბარე ის მარაგ-ნაწილები, თურმე იმიტომ გაჰქონდათ, რომ „მექანიზატორის“ ალექსეევკაში მდებარე ბაზაზე უნდა შეენახა თ. მოიყვანეს სრულიად უცოდინარი ხალხი, ჯართივით შეყარეს თვითმცლელ სატვირთო ავტომანქანაზე ყველაფერი, რაც კომპანიისა და ტრაქტორს ჰქონდა, არადა კარგი ნაწილები

და საერთოდაც მიწა 20-25 სანტიმეტრის სიღრმეზე უნდა მოიხმას, მაგრამ ტრაქტორისტებს დაბალ ხელფასს, ჰექტარზე შემოსული თანხის 5-8%-ს უხდიდნენ და ისინიც 15 სმ-ის სიღრმეზე ხნავდნენ, რომ საწვავი დაეზოგათ და იმ თანხით ესარგებლათ. მიწის ხარისხი გაფუჭდა და ცხადია, კარგი მოსავალი ვერ მოვიდა. მექანიზატორს ერთი ჰექტარის მოხვნაში 5-8 ლარს რომ გადაუხდი, როცა მღესავი ერთი კვ.მეტრის გაღვსვაში ითხოვს ამდენ თანხას, ცხადია, რომ ის სამუშაოს ხარისხიანად არ შეასრულებს. მექანიზატორები არიან დაჩაგრულები, თორემ შპს „მექანიზატორის“ ადმინისტრაცია ხელფასებითა და პრემიებით ხომ არის განებივრებული და საწვავსაც საკმაო რაოდენობით იღებს. „მექანიზატორი“ ას ლარს რომ ითხოვს ერთი ჰექტარი მიწის მოხვნაში, კერძო პირები ამ ფართობს 60 ლარად ხნავდნენ, კონკურენტი რომ არ ყავდეთ, იმიტომ გააჩერეს კერძო ტრაქტორების რემონტი, დღესაც გაჩერებული ვართ, როგორც ამ ტექნიკის მეპატრონეები, ისე შემკეთებელი კომპანიები. „მექანიზატორი“ თავის ტექნიკასაც არ უვლის, არ ხდება მისი აღდგენა-შეკეთება, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული ტექნობარკია ფაქტობრივად გაჩერებული. 15 მილიონად შეფასებულ

გამოყენებულია, ამას გარდა არც კარტოფილის ამღებმა იმუშავა, რადგან ის მსუბუქი ნიადაგებისთვის არის გათვალისწინებული, ჩვენთან კი მძიმე ნიადაგებია. როცა ახალი ტექნიკა შემოგყავს, თავიდან 2-3 ცალი უნდა შეიძინო, გამოსცადო თუ იმუშავებს ჩვენს პირობებში, თუ გაამართლა, მერე უნდა შემოიყვანო მასობრივად. ეს რომ გააკეთო, საქმე უნდა იცოდე, როცა არ იცი, სახელმწიფოს აზარალებს. სახელმწიფომ ასეულობით მილიონი ლარის ტექნიკა აჩუქა „მექანიზატორს“, რომელიც მომსახურეობაში იმხელა ფულს ახდევინებს მოსახლეობას რომ ტყავს აძრობს, მაგრამ მაინც ზარალშია, ეს როგორ ავხსნათ? საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება, დახულ-დათესილი ფართობები კი კლებულობს, 2008 წელს 75.200.000 ლარი იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, ომიანობის წელს 329.000 ჰა მიწა დამუშავდა, 2012 წლიდან კლება იწყება და 220.000 ჰა-ზე ჩამოვიდა. 2012 წელს ბიუჯეტი 228 მილიონამდე იყო გაზრდილი, მერე სულ იმატებდა, 2017 წელს 313 მილიონი იყო, 2012 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, სამინისტროს ერთი მილიარდ 128 მილიონი ლარი აქვს მიღებული, მაგრამ მნიშვნელოვნად არის შემცირებული დამუშავებული ფარ-

პლანეტის ზოგიერთი მდიდარი და გავლენიანი ადამიანი დარწმუნებულია იმაში, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კომპიუტერში მოდელირებულ მატრიცაში, ანუ მატრიცულ სამყაროში და ახლა ცდილობენ რაიმე ილღონ ამის წინააღმდეგ.

ყოველ შემთხვევაში ორი მილიარდერი სილიკონის ველიდან (san-francisko, აშშ) ფულს აბანდებს მეთოდების შემუშავებაში, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ გაარღვიონ კომპიუტერული მოდელი, რომელშიც, როგორც ისინი ფიქრობენ, კაცობრიობა ცხოვრობს. ფილოსოფოსები უკვე დიდი ხანია თავს იმტვრევენ იმაზე, როგორ შეიტყონ ჩვენი სამყარო სხვა რეალობის მოდელირებული ასლია თუ არა. ბოლო წლებში, კომპიუტერული ტექნიკისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად ეს მისწრაფება მხოლოდ გაძლიერდა. ყოველივე ამან მაღალტექნოლოგიურ ბიზნესში მილიარდერები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ მანის რომელთა მიხედვითაც ჩვენ არ ვცხოვ-


“ჩვენ უკვე გვაკონტროლებენ ჩვენი ტელეფონები, - თქვა მან, - შერწყმა უკვე დაიწყო, - და ეს ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტია. ნებისმიერი სხვა სცენარი მიგვიყვანს კონფლიქტამდე: ან ჩვენ დავიპყრობთ ხელოვნურ ინტელექტს ან ხელოვნური ინტელექტი დაგვიპყრობს ჩვენ”. “შერწყმის ესოდენ ფანტასტიკურ ვარიანტში ჩვენი ტვინი ჩაიტვირთება დრუბელში. მე ეს მომეწონებოდა. ჩვენ უნდა ავწიოთ კაცობრიობის დონე, რადგან ჩვენი შთამომავლები ან დაიპყრობენ გალაქტიკებს ან კიდევ სამუდამოდ ჩააქრობენ ნათელს სამყაროში. აი, რა დროში ვცხოვრობთ.

ეს არის აშკარად არასერიოზული აზრი, თითქოსდა კაცობ-

არაბეთის მოქალაქეობა მიანიჭეს. 2017 წლის ნოემბერში გაერო-ს განვითარების პროგრამამ (UNDP) სოფია ინოვაციების ჩემპიონად გამოაცხადა. მანამდე გაერო-ს ეს ტიტული მხოლოდ ადამიანებს ენიჭებოდა.

სოფია კომპანია Hanson Robotics-მა ხელოვნური ინტელექტის დეველოპერებთან ერთად შექმნა. რობოტი მიმსგავსებულია მსახიობ ოდრი ჰეპბერნს და თავის წინამორბედ რობოტებთან შედარებით, გამოირჩევა უფრო ადამიანური გარეგნობითა და მოქმედებით.

2017 წლის 11 ოქტომბერს, სოფიას გაესაუბრა გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ამინა მოჰამედი. ამავე წლის 25 ოქტომ-



კაცობრიობა მოდელირებულ მატრიცაში სსოვრობს?



რობთ ამგვარ სიმულაციაში “ერთია მილიარდზე”. გასულ თვეში ამერიკის ანალიტიკოსთა ბანკმა ცი დაწერა, რომ გამოვლინდა სამყაროში ჩვენი არსებობის ვარაუდი მოგვაგონებს მატრიცას, რომლის რეალობა 50%-ს აღწევს. ახლა, როგორც მინიმუმ ორი მილიარდერი აფინანსებს მეცნიერებს, რათა სცადონ ამ სიმულაციის გარღვევა. ჯერ უცნობია, რა სახის სამუშაოებს მოიცავს და როგორი ფორმით მიდის ეს მუშაობა.

ჩვენ თუ ამ მოდელში არ ვცხოვრობთ, ფიქრობს მასკი, მაშინ კაცობრიობის ცხოვრება, სავარაუდოდ, უახლოვდება დასასრულს, და ამიტომაც, უმჯობესია ამგვარი რეალობის არსებობაზე ვიმედოვნებდეთ. “წინააღმდეგ შემთხვევაში ცივილიზაციის განვითარება რაიმე სტიქიური უბედურების შედეგად შეწყდება, და დალუბავს კაცობრიობას”, - განაცხადა მან ერთერთ კონფერენციაზე.

როგორც ჩანს ალტმანი იზიარებს ამგვარ შიშებს, რადგან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ შემოთავაზებულია ჩვენს გარშემო არსებული მაღალტექნოლოგიური მოწყობილობებით, რომელსაც შეუძლია გააქრონ ცნობიერება სამყაროში. ის მიიჩნევს, რომ ამ მოვლენასთან ყველაზე საუკეთესო ბრძოლის ხერხია “შერწყმა” - როდესაც ჩვენი ტვინი და კომპიუტერი ერთი მთლიანობა ხდება, სადაც შესაძლებლობა გვექნება ჩვენი ცნობიერება ავტვირთოთ კომპიუტერულ “დრუბელში”.

რობა ცხოვრობდეს ხელოვნურ რეალობაში, მატრიცაში. ეს გახლავთ ღმრთის უარყოფის საკმაოდ კანდიდი გეგმა. სხვათა შორის, ამ იდეას პოლიუგული უკვე დიდი ხანია ატრიალებს. ამის დასტურია მხატვრული ფილმი “13-ე სართული” (1999 წ.), “მატრიცა” და კიდევ სხვა მსგავსი სურათები.

გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP-ის) ორგანიზებით, რამოდენიმე დღის წინ მსოფლიოში პოპულარული რობოტი სოფია საქართველოს ეწვია. რას წარმოადგენს, ვინ და რისთვის შექმნა ადამიანის მსგავსი ეს რობოტი? როგორია მისი შესაძლებლობები? სოფია სოციალური პუმანიოდი რობოტია, რომელიც პონგკონგურმა კომპანიამ შექმნა. სოფია 2015 წლის 19 აპრილს გაააქტიურეს, საზოგადოების წინაშე კი პირველად 2016 წლის მარტში, ტეხასის ქალაქ ოსტინში წარსდგა. რობოტს შეუძლია მიიღოს სახის ორმოცდაათი სხვადასხვა გამოუმეტყველება. სოფიას აქტიურად აშუქებს მსოფლიო მედია, მასთან ჩაწერილია მრავალი მაღალპროფილური ინტერვიუ. მიუხედავად იმისა, რომ სოფიას ინტერვიუები შთამბეჭდავია და გამოირჩევა დახვეწილი პასუხებით, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მისი მრავალი მნიშვნელოვანი განცხადება გარკვეულწილად დადგმული, წინასწარ გაწერილია. 2017 წელს, სოფია პირველი რობოტი გახდა, რომელმაც რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო — რობოტს საუდის

ბერს, ერთადღში გამართულ მომავლის ინვესტიციების სამიტზე რობოტს საუდის არაბეთის მოქალაქეობა მიანიჭეს. ის პირველი რობოტი გახდა, რომელმაც რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. ამ ფაქტს გარკვეული დაპირისპირებაც მოჰყვა, რადგან ზოგიერთმა წამოჭრა საკითხი, მოქალაქეობის მიღება ნიშნავდა თუ არა იმას, რომ სოფიას შეეძლო ხმის მიცემა ან ქორწინება, გარდა ამისა, ჩაითვლებოდა თუ არა მისი სისტემის გათიშვა მკვლელობად. საკითხის განხილვამ სოციალურ მედიაში გადაინაცვლა. ზოგიერთს აინტერესებდა ისიც, მოუწევდა თუ არა სოფიას ისლამის მიღება, რადგან არამუსლიმებს საუდის არაბეთის მოქალაქეობის მიღება არ შეუძლიათ. სამეცნიერო საზოგადოების შეფასებით ექსპერტები, რომლებმაც რობოტის ღია წყაროს კოდის მდგომარეობა შეაფასეს, აცხადებენ, რომ სოფია საუკეთესო კატეგორიის სახიანი რობოტია. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის ექსპერტთა გარკვეული ნაწილი სოფიას ასე გადაამტებულ პრეზენტაციას არ ეთანხმება.

2018 წლის იანვარში, Facebook-ის ხელოვნური ინტელექტის დირექტორმა, იან ლეკუნმა T, რომ სოფია „სრული აბსურდია“ და მედია „პოტიომკინის ხელოვნური ინტელექტის სივრცის“ დროის დათმობაში დაადანაშაულა.

რობოტის უცნაურმა, ძვირადღირებულმა სტუმრობამ და „აწყობილმა“ პასუხებმა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის გააღიზიანება და სოციალური ქსელის „აფეთქება“ გამოიწვია, საზოგადოების ნაწილმა რობოტის სტუმრობა ძვირადღირებულ ხუმრობად აღიქვა და სოციალურ ქსელში გვარიანად „ილღიცინა“, მაგრამ გვაქვს კი სახუმაროდ საქმე? როცა მსოფლიო მიუახლოვდა ტრაგიკულ მოვლენებს, როდესაც ფანტასტიკური ფილმის სიუჟეტი საშინელი რეალობა ხდება. ალბათ განსოვთ ფილმი “ტერმინატორი 4 - ხსნა”, სადაც ხელოვნურმა ინტელექტმა დასაბამი მისცა აპოკალიფსისს. ახლა კი უფრო დეტალურად იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე ხდება

და ალბათ, ძალიან მალე ჩვენ ყველანი შეიძლება აღმოვჩნდეთ ისეთ სამყაროში, რომელსაც მართავს SkyNET, ოღონდ ამჯერად მას “ნორმანი” ეწოდება და ის ძალიან ბოროტია. აი რა არის ცნობილი ჩვენთვის ამ ხელოვნური ინტელექტის (ხელოვნური ინტელექტი ანუ ართიფიკალ ინთელიგენს) შესახებ, რომელიც ამა წლის მარტში შეიქმნა. კარგად აღწერა ეს Strange Sounds-მა: “მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) თანამშრომლებმა შექმნეს საშინელი ხელოვნური ინტელექტი. ეს არის ისტორიაში პირველი ხელოვნური ინტელექტი-ფსიქოპათი.

ის არაფერს ხედავს მკვლელობების გარდა. მაგრამ ეს პატარა ექსპერიმენტი აჩვენებს, თუ როგორ ითვისებს სწავლების პროცესში AI წინასწარშექმნილ აზრებს და საბოლოო ჯამში ამას ის სამყაროს დამახინჯებულ აღქმამდე მიჰყავს.

გახსოვთ ტვინების ჩარეცხვა “შექანიკურ ფორთოხალში”? და ეს ამ მოვლენასთან ძალიან ახლოა...

საინტერესოა შედეგებია, არა? მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, MIT-ის გუნდი კიდევ უფრო შორს წავიდა. მან მოახდინა “ნორმანის” სრულყოფა და გართულება. ახლა მის განკარგულებაშია ყველაზე მძლავრი კომპიუტერი, რომელიც კი MIT-ს გააჩნია. როდესაც ის რამოდენიმე ჩვეულებრივ AI-ს დაუკავშირეს.

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ MIT-ი იწყებს მოლაპარაკებებს ოუკ-რიჯის ეროვნულ ლაბორატორიასთან. იქ გაშვებულია მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სუპერკომპიუტერი, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინ აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტმა წარადგინა.

ამერიკული სუპერკომპიუტერ “Summit”-ის პიკური წარმადობა აღწევს 200 პეტაფლოპს (200 კვადრილიონი გამოთვლა წამში). ეს ორჯერ აღემატება ჩინური სისტემის წარმადობას, რომელიც შეადგენს 93 პეტაფლოპს, ასევე 7-ჯერ მეტია სუპერკომპიუტერ Titan-ის წარმადობაზე, რომელიც წარსულში აშშ-ს ყველაზე ძლიერი სუპერკომპიუტერი იყო და, რომე-

ლიც განთავსებული იყო ოუკ-რიჯის იმავე ლაბორატორიაში, სადაც დღეს დაყენებულია ახალი სისტემა.

Summit-ის წარმადობა იმდენად მაღალია, რომ სისტემას ძალუძს ერთ საათში გადაწყვიტოს ამოცანები, რომელსაც ჩვეულებრივი მაგდის კომპიუტერი 30 წელს მოანდომებდა.

სუპერკომპიუტერი Summit-ი შედგება 4608 სერვერული სადგურისგან, რომლის საერთო ფართობი ტენისის ორი კორტის ოდენაა. სისტემა საერთო ჯამში იყენებს IBM Power9-ის 9 ათასზე მეტ 22-ბიტოვან პროცესორს, რომლებიც ტანდემში მუშაობენ NVIDIA Tesla V100-ის 27 000-ზე მეტ გრაფიკულ პროცესორთან.

ახალი სუპერკომპიუტერი სპეციალურად შეიმუშავეს იმგვარი ამოცანებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტთან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, MIT-ის მოლაპარაკებები ოუკ-რიჯის ეროვნულ ლაბორატორიასთან შეეხება ერთობლივ გამოკვლევებს ხელოვნური ინტელექტის სფეროში. არ არის გამოცხადებული ეს უშუალოდ ეხებოდეს AI-ნორმანს.

ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნორმანისთვის ეძებენ “ახალ სახლს”. და თუ მას Summit-ში გადაასახლებენ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია რით შეიძლება ეს დამთავრდეს.

არ არის გამოცხადებული მალე მსოფლიოში განვითარდეს “ტერმინატორის”, ამ ფანტასტიკური ფილმის შემადრწუნებელი სიუჟეტი, ოღონდ უკვე რეალურად და ამჯერად ეს იქნება არა “ტერმინატორის” SkyNET-ი, არამედ Norman-ი, - თანამედროვეობის რეალური გამოგონება. მანამდე კი სტუმართმოყვარე თბილისი „გაეროს კეთილი ნების ელჩმა“ რობოტმა სოფიამ დახვეწა „კეთილი გაეროს“ დაჯავლებით. არ გამოვიცხავე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობაც უწყალობონ და „გამრავლებაშიც“ შეუწყონ ხელი.

ვინ ამოხსნის ხადას ხეობის საიდუმლოს?

გაქცეული ადვოკატი და მარტო დარჩენილი მალხაზ კობაური, რომელიც ისე იხლართება საკუთარ „აღიარებებში“, რომ ეჭვი ჩნდება - საერთოდ იყო იქ. მკვლელობის დროს და ადგილას?

საერთო საზოგადოება



მიატოვა ადვოკატმა მალხაზ კობაური და - აბა, ადვოკატიც კი მიხვდა, რომ დამნაშავეა, ეტყობა, უმაღლესად ადვოკატს აქამდე ბრალდებული სიმართლეს, აი, ამ ადვოკატს ჰქონია სინდისი, თუ ჰქონია, არ მოინდომა მკვლელობის დაცვა - გაპყვირებინა ერთი.

მეორე კობაურთან ერთად მისი ადვოკატის დახვეწილობა ითხოვენ, აკი, ბრალდებულს ჩვენება შეაცვლევინა და ვიღაც ორ კაცზე ზღაპრები დააწერინაო.

და არიან მესამენი, ნეტარ არიან მესამენი, რომლებიც არც ვერინან და არც დახვეწილობა ითხოვენ, სხედან და ფიქრობენ, ფიქრობენ: - რატომ არ გვეუბნებიან სიმართლეს, რა მოხდა სინამდვილეში იქ, მთაში, რა საშინელება მოხდა და ვისი ხელით?

მაინც, რატომ არ გვეუბნებიან, რა მოხდა იქ, ემინათ, ნეტავი, თუ რცხენიათ? - დაფიქრებით მკითხა ერთმა და მაშინვე დავიბრძო, რომ ეს ფრაზა ჩემს წერილში მოხვდებოდა.

იყვანეს ბრალდებული პოლიციაში, გვითხრეს, სკოლაშიც არ უვლია, ქართულად საუბარაც უჭირსო - მალევე დაწერა აღიარებითი ჩვენება, რომელმაც მეტი კითხვა გააჩინა, ვიდრე მანამდე გვექონდა, მივიდა ადვოკატი - დაწერა ბრალდებულმა მორიგი სულელური აღიარებითი ჩვენება ორ კაცზე, წამოვიდა ადვოკატი - დაწერა კობაურმა მესამე სულელური აღიარებითი ჩვენება ისევ, მე მოვკალიო.

ხოდა, ადვოკატს უნდა დაგვარწმუნოს, რომ, კობაური არა თუ საკუთარ ადვოკატს, საერთოდ ვინმეს ეწინააღმდეგება, ვინმეს ეურჩება? ყველაფერი 4 ივლისს დაიწყო, 4 ივლისს სიცხემ შეაწუხა სმიტების ოჯახი და გასაგრილებლად, დასასვენებლად გაუდგა გზას.

მე რომ სმიტების ოჯახი ვყოფილიყავი, კარავს წავიდებდი, ტყეში თუ წავიდოდი, სახლს შევიპირებდი, ტყის სახლოვებს, სასტუმროში ადგილს დაგვავებდი, საკვებს წავიდებდი, რამდენიმე დღე თუ ვაპირებ ტყეში დარჩენას, იარა-

დადგენა შეუძლია ექსპერტიზას საქართველოში?

მაგალითად, როდის დამყარდა სექსუალური აქტი?

იყო, თუ არა სექსუალური აქტი ძალადობრივი?

როდის დადგა მსხვერპლთა გარდაცვალება?

ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად, როგორ შეიძლება დანაშაულის დადგენა? სერმის კვალი რომ მკვლელობას ნიშნავდეს - ყველა კაცი მკვლეელი იქნებოდა.

რა უნდოდათ სმიტებს ხადას ხეობაში? რისთვის წავიდნენ სინამდვილეში? - უკვე ღიად იწერება, რომ სმიტები არ იყვნენ უბრალო მოკვდავნი, რაიან სმიტს ამერიკაში არც თუ ისე უბრალო სამსახური ჰქონდა და არც თუ ისე უბრალო თანამდებობა. როგორ მოხდა, რომ ასე გამოცდილი ადამიანი, წავიდა დაუსახლებელ ადგილას მოუშნადებელი, შვილთან და ცოლთან ერთად და გაჰყვა იარაღიან ბიჭს ღრმად ხეობაში?

ან, თავიდან რომ გვიყვებოდით,

ვედროლიყო სმიტის ბიომასალა თოფზე, ისევე, როგორც კობაურის ბიომასალა მოხვდა თოფის ხელში დაჭერით.

ხოდა, რომელია? რა ბიომასალაა? სისხლი არაა, გავივით, რა არის, თავის ტვინის ნაწილია, თავის ქალის ნამტვრევია შერჩენილია, ოფლია, ხელია უბრალოდ თოფზე ნახლები, თუ რა ჯანდაბაა? რას გვიყვებით?

ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც ტელევიზიით გამოშვებულა - თარიღი აწერია კუთხეში 14.07 - ასეთ ხმაურთან საქმეზე 14-ში უკვე გაქვთ ექსპერტიზის პასუხი და ეს პასუხი არ მიაწოდეთ ადვოკატს, არა აქვს პროკურატურას?

22 ივლისამდე 8 დღეა - 8 დღე

ბამ თავიდანვე, რომ მსხვერპლებს თავის მხოლოდ ფრაგმენტები ჰქონდათ შემორჩენილი - რატომ გვიმტკიცებდა, ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდათ?

სად მიდიოდნენ სინამდვილეში სმიტები და ვის უნდა შეხვედროდნენ?

რატომ გაჩუმდნენ მარნეულელები?

რატომ გაჩუმდნენ ის ადამიანები, რომლებიც კობაურს დადებოდა ანასიათებდნენ?

რატომ გვითხარით თავიდან, რომ კობაური სოფელმა ჩამოკიდა და ისე ათქმევინა სიმართლე?

რატომ გვითხარით, რომ კობაური სმიტებს უთვალთვალებდა - რამდენი დღე იყვნენ სმიტები ხადას ხეობაში, სანამ მოკლავდნენ და სად ათევდნენ ღამეს, სად რჩებოდნენ ეს დღეები?

ბოლოს და ბოლოს, რა გახდა იმის დადგენა - როდის, რომელ რიცხვში გამოვიდნენ სმიტები მარნეულიდან და როდის დახოცეს? სად იყვნენ ის დღეები - ვისთან იყვნენ, როცა კობაური უთვალთვალებდა?

და ბოლოს მკვლელობის მოტივიც მინდა რომ ამოღეროთ: - ეჭვიანობა?

ისე, მოსწონდა ლორა სმიტი კობაურს, ისე მოსწონდა, რომ მხოლოდ ანალური სექსით დაკავდა მასთან, თან ახრჩობდა და თან სექსუალურ კავშირს ამყარებდა. არადა, ლორას ქმარი ხომ იმიტომ მოკლა, რომ ქალის სხეულით მშვიდად დამტკბარიყო.

მეორე მოტივი - სიბრაზე, შენიშვნა მოუცია რაიან სმიტს მწვემ-სისთვის - ერთი შენიშვნის გამო თუ სამი ადამიანი მოკლა, ფსიქოლოგის დასკვნა გვეჭირდება მაშინ, არ იქნება მაშინ სრულ ჭკუაზე და გვატყუებთ.

რა მოხდა სინამდვილეში ხადას ხეობაში, ვხვდებით, რომ რაღაც საშინელი მოხდა, ფილმებს გვახსენებს უამრავს ეს საკონტროლო გასროლა თავში, კაცის შიშველი სხეული წამებაზე მიგვანიშნებს და 19 წლის ბიჭი, რომელიც უკვე მესამედ ცვლის ჩვენებას და სამივეჯერ იხლართება საკუთარ ტყუილებში. დანაშაული აღიარა და ახლა მაინც იტყობა სიმართლეს - მაგრამ, რაც არ იცის, რაც არ უნახავს, რა თქვას?

გვითხარით, რა მოხდა სინამდვილეში ხადას ხეობაში, რატომ ვერ გვეუბნებიან - გემინათ, თუ გრცხენიათ?



365 წელს ერთმა ახალგაზრდა კაცმა, არაფრით გამორჩეულმა ახალგაზრდა კაცმა, არტემიდას ტაძარი გადაწვა - ისტორიაში რომ შესულიყო. ვიცო მუ ამ ახალგაზრდა კაცის სახელი, მაგრამ, არ ვიმეორებ არასოდეს, არ არის ღირსი ისტორიაში შესვლის და სახელის დამახსოვრების და იმიტომ.

მომიტყვევთ, იგივე ვფიქრობ ადვოკატზეც - მივიდა, გადაწვა - წამოვიდა. ამიტომ, ამ წერილში, ჩემს წერილებში მის სახელს და გვარს არ ვახსენებ.

ერთი ადგილი უნდა გქონდეს, იმ ბიჭის დასაცავად რომ მიხვიდე, რომელსაც სამი ადამიანის, მათ შორის ბავშვის მკვლელობა ედება ბრალად, რომელსაც დაწერილი აქვს აღიარებითი ჩვენება ერთი უკვე, ერთი ადგილი უნდა გქონდეს და არ უნდა წუწუნებდე პატარა ბიჭივით, რომ სუსის მანქანებზე დაგდევინ.

ექსპერტიზის დასკვნის გამო არ მიმტოვებია ბრალდებული, იმიტომ რომ ეს ექსპერტიზის დასკვნა რაღაცაა... მე და ბრალდებული ვერ შევთანხმდით... რა ვიცი, მი-

დას წავიდებდი - ნადირის შიშით მაინც.

მაგრამ, სმიტების ოჯახი უშიშარია, სმიტების ოჯახი ღამით ღია ცის ქვეშ აპირებს დამინებას, არც კარავი ჰქონდა გაშლილი და არც სახლი ჰქონდა დაგვავებული.

მეტიც, სმიტების ოჯახი სოფლიდან გააცილეს, სოფლიდან დასჭირდა გაცილება და გზის გაგნებაში დახმარება და ხეობაში წავიდა გამცილებლის გარეშე?

სმიტების ოჯახს იარაღი არ წაუღია თან - მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეეშინდათ ახალგაზრდა იარაღიანი კაცის დანახვის, ფოტოც კი გადაუღეს, მერე კი წაყვინენ, მანქანა მიატოვეს და წაყვინენ უფრო ღრმად ხეობაში, უფრო მიუვალ ადგილას წაყვინენ.

ანუ, არ ყოფილა სმიტების ოჯახი დასასვენებლად ხო წასული, არც ფრთხილი ყოფილა, როგორც ამბობდნენ მისი მეგობრები.

ექსპერტიზის დასკვნა დაიდო - ქალის უკანა ტანში კობაურის ბიომასალა აღმოჩნდა. საშოში კი მუდლის ბიომასალა.

კარგი და დნმ-ის გარდა. რამის

უთვალთვალებდა მწვემის სმიტების ოჯახს და ამის ფოტომასალა არსებობსო - აბა, როდის უთვალთვალებდა და სად?

ახლა გვიყვებით, უი, ის ფოტომასალა გარდაცვლილი ლორა სმიტის გვამისთვის გადაუღიაო - გვამის და ცოცხალი ადამიანის ფოტოებსაც ვერ ვარჩევთ?

გვამს უთვალთვალებდა კობაური?

ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: მიწის ბალახიანი ნიადაგიდან მოთავსებულ თოფზე აღმოჩენილი მოყავისფრო ლაქები სისხლს არ წარმოადგენს, ამავ თოფზე აღმოჩენილი ბიომასალის გენეტიკური პროფილი შერეულია, ნაწილი ეკუთვნის სმიტების ვაჟს, ნაწილი კობაურს.

ანუ, მიბვებით ესროლა ამ თოფიდან და სისხლის წვეთიც არ მოხვდა იარაღს? ბიომასალა შეიძლება იყოს ოფლის წვეთიც, ნერწყვიც, კი, თავის ტვინის ნაწილიც შეიძლება იყოს ბიომასალა, და როგორც თავად ახსენებთ ამ ბალახიან ნიადაგს - ბალახიანი ნიადაგიდანაც შეიძლება მოხ-

სად ილო ექსპერტიზის დასკვნა და რას ელოდებოდა?

რატომ გამოქვეყნდა ექსპერტიზის დასკვნა ჯერ ტელევიზიით და ადვოკატს მერე რატომ მიეწოდა? - თუ, ეგაც ტყუილია?

სამი ჩვენება გვაქვს ბრალდებულის - სამივე განსხვავებულია, სამივეგან განსხვავებული მოტივია - ხოდა, ეს ბიჭი ასე განათლებული და ასე მოხერხებულია, რომ სამჯერ შეცვალა ჩვენება?

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ამ ბიჭის მთავარი კოზირი მისივე ჩვენებებია, ისე იხლართება, ისე მიკობ-მოკობავს, რომ ეჭვი ჩნდება - საერთოდ, იყო კი მკვლელობის დროს იქ, მკვლელობის ადგილას?

რატომ იყო რაიან სმიტი შიშველი? სად არის მისი ტანისამოსი? რატომ გააშვილებს და ვინ გააშვილებს?

რატომ გააშვილებს კაცი, თუ ქალზე იხმარეს ძალა? და როდის გააშვილებს მამაკაცი, სანამ მის ცოლზე ძალას იხმარდნენ, თუ მერე?

რატომ არ გვითხრა გამოძიე-

555 46 08 04

საქართველოს საბანკო სისტემა უფრო ჰუმანური უნდა გახდეს

● რატომ არის „საქართველოს ბანკი“ საქართველოში ბანკთაშორის უპირობო ლიდერი?

● პირველი კომერსიული ბანკი რომან ბოსირიძემ და-ფუძნა და სასტიკად მოაგყუა აქსიონერები

გვესაუბრება საქართველოს ბანკის აფხაზეთის ფილიალის ყოფილი უფროსი, ბატონი მანუჩა ჯიშკარიანი.

— ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა თქვენი დიალოგი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი, სადაც საუბარია ლარის კუპონებზე აფხაზურ ენაზე ნომინალის აღმნიშვნელი წარწერის დატანების შესახებ.

— ბატონო ვასილ, რას გვეტყვი ამ ინციდენტის შესახებ?

— მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური შინაარსის წერილი გაეგზავნა

პრეზიდენტებიდან ყველაზე უპირანი იყო ეს საკითხი წამოეწია ბატონ რამსან ბოციანიძემ, რომელიც წარმოშობით, რამდენადაც ვიცი, აფხაზეთიდანაა. მაგრამ ის უფრო მეტ დროს უთმობდა პირადი კეთილდღეობა და სხვა საკითხებისთვის არ ეცალა. მას სენდებდა, თუ როგორ აპყვია 90-იანი წლების ტენდენციას ბატონი რომანი და როგორც „ქართული საბანკო ეკონომიკისა და საბანკო საქმის დიდმა მცოდნემ“, რასაც ახლაც მუდმივად იბრალეებს, დააფუძნა კომერციული ბანკი „კერძო ბანკი“, სადაც, სავარაუდოდ, 80%-იან წილს ფლობდა და გა-

პროფესიულ თვისებებს ასე დავახასიათებდი: მას აქვს მოხვედრის დამახასიათებელი შეუპოვრობა, გენებიდან გამოყოფილი კომერციული ნიჭი და ყოველივე ეს შერწყმულია დასავლურ განათლებასთან. როცა კითხულობენ, ლაღო გურგენიძემ რატომ ვერ შეძლო სს „ლიბერთი ბანკის“ გადაქცევა ისეთივე წარმატებულ ბანკად, როგორც სს „საქართველოს ბანკი“, პასუხი ერთია: იმიტომ, რომ მას სს „ლიბერთი ბანკში“ გვერდში არ ჰყავდა, პირველ რიგში, **ირაკლი ბილაშვილი**, ასევე **მიხეილ ბოგარტაძე** და **პასხა ღვინჯიანი**.

— ბანკები და განსაკუთრებით, კომერციული ბანკები მართლაც ბევრს სცოდნენ. რას იტყვი ამის შესახებ?

— ერთმა სასულიერო პირმა მითხრა: „ბანკის თანამშრომლები ცოდვიანები არიან, მათ საქართველოში ბევრი ადამიანი გააუბედურეს. ისინი ხშირად უნდა დადიონენ ეკლესიაში და ცოდვებს ინანიებდნენ“.

კომპანის თანამშრომლები კი არ სცოდნენ. აქ სცოდნენ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები. კომერციულ ბანკებს აქვთ ანაბრების მიღების და სხვა საკრედიტო რესურსების მოზიდვის თავისუფალი არჩევანის უფლება, სადაც 6–12% ის ფარგლებში, მისი უფრო ძვირად, ხოლო ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციები რესურსებს გაცილებით უფრო მაღალ პროცენტებში იზიდავენ — ეს ყველაფერი კარგად იცის.

აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ბანკებს და ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციებს კრედიტის გაცემის ერთნაირ პროცენტებს უწესებდეს. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს არ ზღუდავს ფინანსურ პირობებზე გასცენ სესხები 13–14, ზოგიერთ შემთხვევაში, კიდევ უფრო მაღალ პროცენტში, ვიდრე ანაბრის პროცენტი, ან სხვა საკრედიტო რესურსებია. საკრედიტო მარჯვა ზოგიერთ შემთხვევაში, 90%-ის ფარგლებშია, რაც საბანკო პრაქტიკაში გაუგონარი ციფრია. ეს იწვევს ჭარბგაღიანობას. მსესხებლები, თითქმის მასიურად, იძულებული არიან ერთი ბანკის სესხი, მეორე ბანკიდან ან ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციებიდან აღებული კრედიტით გადაფარონ და კიდევ უფრო მეტად ექცვიან საკრედიტო კაბალაში, საიდანაც თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი ხდება.



ეროვნულ ბანკსა და თითქმის ყველა სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურაში, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალბატონ ქეთევან ციხეშვილის აპარატიდან სატელეფონო ზარს მადლობის ნიშნად ამ წინადადებებისთვის და უარყოფით რეაქციას, რომელიც ეროვნული ბანკიდან წამოვიდა.

მერე ვცადე პატრიარქის ლოცვა-კურთხევა მიმეღო და მას ასეთივე შინაარსის წერილით მივმართე. რამაც ძალიან დამეხმარა ჩემი მუშაობელი, მრავალშვილიანი ოჯახის მამა, შსს მიგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახა ენუქიძე (მისასაღებებელია, შსს მაღალ თანამდებობაზე ასეთი პატრიოტიზმი რომ მუშაობს), მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

ამათ გარდა მიმართე სხვადასხვა გაზეთს და სატელევიზიო არხს, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც უკვე, როგორც იტყვიან, ხელი მქონდა ჩაქნული, ამ დროს დაბრუნდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში და გადაწყვიტე მისთვისაც მიმეწვინა ხმა.

— ბატონო ვასილ, საკითხავია ეროვნული ბანკის არც ერთ პრეზიდენტს ან სხვა თანამშრომელს, რომელთა ფუნქციაშიც შედის ეს საკითხი, რატომ არ დაეხმარა აზრი ლარის კუპონებზე აფხაზურ ენაზე ნომინალის აღმნიშვნელი წარწერის დატანების შესახებ?

— როცა ლარი შემოვიდა მიმოქცევაში, ეროვნულ ბანკის პრეზიდენტი იყო **ნოდარ ჯამახიშვილი**. არა მგონია, ბატონ ნოდარს ეს აზრი არ გასწვრივდა, მაგრამ ომი ახალი დამთავრებული იყო და ის, ალბათ, ძალიან გულნატკენიც გახლდათ აფხაზეთზე.

შემდგომში ეროვნული ბანკის

კოტრებად მიიყვანა იგი. აქციონერები კი პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა.

ასეთი კაცი შემდეგ გახდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მოძღვრავდა საქართველოს საბანკო სისტემას, ახლა კი ცდილობს მთელი საქართველოს დამოძღვრას. იმედია, ასეთი რამ, საქართველოში აღარასოდეს განმეორდება.

აქვე მინდა აღვნიშნო, თუ რატომ მინდოდა ამ საკითხზე პატრიარქის ლოცვა-კურთხევის მიღება:

2000 წელს სს „საქართველოს ბანკის“ იმჟამინდელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის **მვლადიმარ პატრიარქის** მოწვევით პატრიარქი მობრძანდა სათავო ბანკში მღვდელმსახურებთან და მგალობლებთან ერთად. მათ დალოცეს „საქართველოს ბანკი“, ზეთი გვცხეს, მგალობლებმა იგალობეს, საჩუქრად გადმოგვცეს ღვთისმშობლის ხატი და აკურთხეს სამლოცველო კუთხე.

პატრიარქის სტუმრობის შემდეგ ბანკის ბევრი თანამშრომელი ეკლესიური გახდა, ხოლო „საქართველოს ბანკის“ წარმატებები ყველასთვის ცნობილია და ის ამჟამადაც საბანკო საქმიანობის უპირობო ლიდერია.

უფლის წყალობად მიმაჩნია, რომ სს „საქართველოს ბანკს“ ჰყავდა და ჰყავს ასეთი ხელმძღვანელები. ბანკის პრეზიდენტმა ვლადიმერ პატრიარქმა საფუძველი ჩაუყარა სს „საქართველოს ბანკის“ დასავლური ტიპის კომერციულ ბანკად გარდაქმნას. ლაღო გურგენიძემ და ირაკლი გილაშვილმა საბოლოოდ ჩამოაყალიბეს „საქართველოს ბანკი“ დასავლური ტიპის კომერციულ ბანკად, ხოლო **ლადო გურგენიძის** წასვლის შემდეგ **ირაკლი ბილაშვილმა** საერთოდ სხვა სიმაღლეზე აიყვანა „საქართველოს ბანკის“ საქმიანობა. მის



აქვე უნდა ითქვას, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ყოველგვარ გონივრულ ზღვარს სცილდება ზოგიერთი კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციების მიერ სესხის გადაგადაცელებაზე დადგენილი ჯარიმები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მსესხებლის მდგომარეობას.

ფინანსთა მინისტრმა გააუღერა ახალი წინადადება: „ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს სესხის არა მთლიანი თანხიდან, არამედ დარჩენილი თანხიდან“, რაც არასწორია.

ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს გადაუხდელო, ე.ი. ვადაგადაცილებულ, სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში.

ახალი ინციდენტი — სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 50-მდე შემცირების შესახებ — ნამდვილად მისასაღებებელია, თუმცა კომპანების შემთხვევაში მაინც ძალიან მაღალია.

ამ დღეებში ძალიან ყურადსაღები და მისასაღებელი განცხადება გააკეთა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, საქართველოში მევახშეობის აკრძალვის შესახებ. საინტერესოა, ამ საკითხისადმი ეროვნული ბანკის დამოკიდებულება, მაგრამ ჯერჯერობით მისი ხელმძღვანელობისგან რამე კომენტარი არ გაკეთებულა.

— ბატონო ვასილ, კიდევ რა შენიშვნა გექნებათ დღევანდელი საბანკო სისტემის პრობლემებთან დაკავშირებით?

— ვფიქრობ, სასურველია კომერციული ბანკების პროდუქტების დიზაინი მათი გაყიდვის დაწყებამდე ეროვნულ ბანკში გადმოიღოს იურიდიული ექსპერტისა, რათა გამოირიცხოს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ისეთი ლაფსუსები, რომლებსაც საბანკო პრაქტიკაში აქვს ადგილი.

თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

რაც უნდა გასაკვირი იყოს, საკრედიტო ბარათიდან ლარის ბანკო-

მატიდან ნაღდი ფულის განაღდების საკომისიო 5%-ს აღემატება. ამან გამახსენა 90-იანი წლები, როცა აშშ დოლარის განაღდება 8%-ზე მეტი იყო, სანამ სს „საქართველოს ბანკი“, ეროვნული ბანკის გვერდის ავლით, არ დაიწყო ნაღდი ვალუტის შემოტანა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ქალაქში „მხედრიონი“ დათარეზობდა, ჩვენ კი სიცოცხლის რისკის ფასად ორი ინკასატორით, ერთი ავტომობილით შემოვიყვანეთ. „კალაშნიკოვით“ და საბჭოთა დროიდან შემორჩენილი დაუჯავშნავი ორი რუსული ავტომობილით, აერობორტიდან „საქართველოს ბანკის“ მაშინდელ სათაო ოფისამდე ღამის საათებში გვიწვევდა მილიონობით ვალუტის ტრანსპორტირება. სხვათა შორის, ამ ოპერაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სს „საქართველოს ბანკის“ ამჟამინდელი გენერალური დირექტორი **პასხა ღვინჯიანი**.

— როგორც ცნობილია, მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი — საქართველოს კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

— ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიგო და აფხაზ ხალხთან შერიგებას ხელს შეუწყობდა, აღნიშნულ კანონპროექტს რომ დაემატოს შემდეგი საკითხი:

ეთხოვოს საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებს, პირველ რიგში, იმ ბანკებს, რომლებიც კონფლიქტის დაწყებამდე ფუნქციონირებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გასცენ მცირე სესხები, სახელმწიფო გარანტიით, ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ფინანსურ პირებზე სასოფლო-სამეურნეო და სხვა საქმიანობის წარმართვისათვის. ამის განხორციელებისთვის სასურველია, კომერციულმა ბანკებმა მოიძიონ და შეაჩიონ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც შესაბამისი გადახადების შემდეგ შეძლებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს გაუწიონ აღნიშნული საბანკო მომსახურება და აგრეთვე, საბანკო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნას კომერციული ბანკების ფილიალები (სერვის ცენტრები).

ვფიქრობ, შესაბამისი დოკუმენტის მომზადება უნდა დაევალოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, კომერციულ ბანკებთან შეთანხმებით.



ესაუბრა
ირანდა კალანდარიძე
593 56 11 18

დონალდ ტრამპი:

„...ამით ლანგარით მოსკოვის როგორც ჩემპიონატი მიმდინარეობდა, საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. ერთი თვის წინ დიდი შედეგის უნაყოფო სამიტის შემდეგ სამყაროში გაურკვეველობამ დაისადგურა. ამჯერად ბელგიის დედაქალაქი ნატოს სამიტს მასპინძლობდა. სწორედ ბრიუსელში უნდა გარკვეულიყო ნატოს ორგანიზაციის მომავალი. დასავლური პრესა იმასაც წერდა, შესაძლოა, ალიანსის ეს ბოლო სამიტი იყოს. მათი ასეთი პესიმისტური პროგნოზის საფუძველი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მისცა. მან სამიტამდეც არაორაზროვნად მიანიშნა, რომ აშშ-სთვის ნატოს დიდი მნიშვნელობა არ აქვს და შეგვიძლია მივატოვოთო. ექსპერტების შეფასებით, ტრამპი, ფაქტობრივად, აშშ-სთვის ალიანსის წევრებს.

ბრიუსელში ჩასულ ტრამპს მხოლოდ პროტოკოლის უფროსი დახვდა. სამეფო ოჯახის და მთავრობის წევრები აეროდრომზე არ დახვდნენ. მიზეზი ფეხ-

მომავალში კი 4%-მდე გაზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნატოს დატოვებითაც დაეშუქრა. ალიანსის წევრები დაეხმოდნენ ტრამპის მოთხოვნებს. რომელი ქვეყანაც ვერ გადაიხდის, მათი ბედი ჯერ გაურკვეველია. როგორც აისახება გაზრდილი გადასახადი ქვეყნების ეკონომიკაზე, უცნობია, მით უფრო, აგორებული სავაჭრო ომის პირობებში.

„...ერთიანობა შევინარჩუნეთ, ამასთან, ნატოს ხარჯები 34 მილიარდით გაიზარდება“, — განაცხადა ტრამპმა. მიუხედავად ამისა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ალიანსში შიდა დაპირისპირება აშკარაა. თუმცა იქვე აღნიშნავენ, აშშ-ს ნატოს ორგანიზაცია სჭირდება ევროპაში ყოფნისთვის, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური მოსახრებით. „...ალიანსის წევრებს ეგონათ, ტრამპი დატოვებდა ნატოს, რისთვისაც მზად იყვნენ. შუებით ამოიხუნტეს, ასე რომ არ მოხდა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, ნატო ტრამპს, ფაქტობრივად, აღარ სჭირდება. მისი სურვილია, ევროკავშირისგან ნახოს მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი, წინააღმდეგ

ევროკავშირის მაღალჩინოსანი ჟან კლოდ იუნკერი ალიანსის სამიტზე საკმაოდ „კარგ ხასიათზე“ ბრძანდებოდა, რამდენჯერმე შეაქანა კიდევ, მაგრამ მოასწერეს შეკავება, რომ არ წაქცეულიყო... ევროკავშირში მისი არაადეკვატურობა წელის ტკივილს დააბრალეს. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, წელისმტკივანი ადამიანი იცინოდეს. რა ვიცი...

ფურნალისტებს აინტერესებდათ, დარჩებოდა თუ არა დონალდ ტრამპი ალიანსის სამიტის დასრულებამდე. როგორც დიდი შედეგის შეხვედრისას, მან ახლაც ვადამდე, პირველმა დატოვა შეკრება. სწორედ მისი არყოფნისას უთხრეს უარი უკრაინისა და საქართველოს ნატოს წევრობაზე. ბრიუსელიდან დონალდ ტრამპი ინგლისში არა ოფიციალური, არამედ სამუშაო ვიზიტით ჩავიდა. იგი ჯერ კიდევ შარშან მიიპატიუა პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ, მაგრამ მოსახლეობა წინააღმდეგი იყო მისი ბრიტანეთში ჩასვლის და ვიზიტი გადაიდო. ამჯერადაც ლონდონი ტრამპს საპროტესტო აქციებით დახვდა. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, იგი, ძირითა-



დონალდ ტრამპი და მელანია ელიზაბეთ II-მ მიიღო. მართალია, ტრამპის ესკორტმა შეხვედრაზე კი დააგვიანა, მაგრამ ინგლისური პრესა აღნიშნავდა, რომ ტრამპს და მელანიას, წინამორბედებისგან განსხვავებით, ღირსეულად ეჭირათ თავი. ინგლისელი ფურნალისტები წერდნენ, „თურმე ამერიკელებს შეუძლიათ ეტიკეტის დაცვა და კარგი მანერების გამოვლინება“. ლონდონიდან ტრამპი შოტლანდიაში, საკუთარ გოლფკლუბში გაემგზავრა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისთვის მოსამზადებლად.

ტრამპმა ფურნალისტებთან სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე. პელსინკში ტრამპის და პუტინის პირისპირ მოლაპარაკება, როგორც მოსალოდნელი იყო, დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა. ამის შემდეგ უკვე ფართო ფორმატის სამიტი დაიწყო, სადაც უკვე პირველი დიპლომატები მაიკლ პომპეო და სერგეი ლავროვიც ჩაერთვნენ. შეხვედრის შემდეგ ტრამპი ეთობლივ პრესკონფერენციაზე ამერიკელ და რუს ფურნალისტებს ორ-ორი კითხვის დასმის უფლება მისცეს. „მოლაპარაკება დიად და გულანდობლივად ჩაიარა. განვიხილეთ ძირითადი საკვანძო საკითხები. მართალია, ცივი ომი დამთავრდა, მაგრამ ჩვენს ქვეყნებს შორის ვითარება დაძაბულია. ამიტომ ვითარება კარდინალურად უნდა შეცვალოს. ახლა სხვადასხვა გამოწვევების და რისკების წინაშე ვართ, რომლებიც ერთობლივი ძალებით უნდა მოვაგვაროთ. პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით უერთიერთობის გასაუმჯობესებლად. კარგია, რომ კორეის ნახევარკუნძულზე ვითარება გამოსწორდა მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი ჩაერთო პროცესში. მაღლობელი ვართ ფინეთის მთავრობისა გულითადი მასპინძლობისთვის“, — განაცხადა პუტინმა.

ბია ბურღული 551 71 27 07

საქართველო ფლორს უნიკალურ სიმდიდრეს, როგორც ვერ იყენებს

● არ არსებობს ავადმყოფობა, რომლის განკურნება საქართველოში არსებული სამკურნალო მცენარეებით არ შეიძლებოდა.

● 40 განსაკუთრებული ჯიშის სამკურნალო მცენარე ხარობს საქართველოში. ამ მცენარეების პლანტაციები რომ გაშენდეს, ათასობით ადამიანი დასაქმდება და მეორე, ეს იქნებოდა სახელმწიფოსთვის სერიოზული შემოსავლის წყარო. ამ მცენარეებისგან ქართული ხერხით ისეთი წამლები მზადდება, როგორც სანთლით ეძებენ მთელ მსოფლიოში.

● მსოფლიო საუკუნეებია სწავლობს დაბერების საწინააღმდეგო პროცესების, სიცოცხლის განხარგრძობის საკითხებს. ამ დროს ბევრმა არ იცის, რომ ამ მიმართულებით ქართულ ხალხურ მედიცინას, მის უნიკალურ სამკურნალო მცენარეებს სასწაულებს მოხდენა შეუძლია.

● საქართველოს, მედეას სამშობლოს, ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ სამედიცინო ტურიზმის ქვეყანა გახდეს.



საქართველოში ხარობს ასეულობით სხვადასხვა სახეობის ველურად მზარდი სამკურნალო და საკვები მცენარეები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებულად ეფექტური თვისებებით, რასაც ერთხმად აღიარებენ მსოფლიოს მედიცინის მკვლევარები და მეცნიერები.

საკმათო არ არის ის ფაქტი, რომ ეს ულუფა სიმდიდრე უფალს გამოირჩეულად ქართველი ხალხისთვის უბო-

შუალებების დასამზადებლად. ხალხში შემონახული ეს ცოდნა იძლევა იმის საშუალებას, რომ მწვავე და რიგი ქრონიკული დაავადებები განკურნოთ უპრობლემოდ, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე.

საქართველო ფლორს იმ უნიკალური სიმდიდრის გამოყენების ცოდნას, რასაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მოაზროვნე საზოგადოება სანთლით ეძებს.

უკუნის ბოლოთი თარიღდება, ეს უნიკალური წიგნი ენციკლოპედიური განათლების ექიმის მიერ არის დაწერილი, რომელიც თავს ქანაწილს უწოდებდა.

აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის ქართულ მედიცინაზე შეიძლება ითქვას, რომ ის ინტეგრალური ბუნების მატარებელი ფენომენია – შექმნილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე და თანაბარი დონით ატარებს ორივე ამ სამყაროს სისტემისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან აურაცხელი შემოსევების ფონზე, ხშირად უზუგუმოდ და უპატრონოდ დარჩენილ ქართველობას ისღა დარჩენოდა თვითადარჩენის გზა საკუთარ წიაღში მოეძებნა.

დღეს ხალხური მედიცინის მიღწევები არა მარტო მიჩნეულა, არამედ აბურხანად აღმზარდებიც. რასაც ხელს უწყობს, როგორც ბიუროკრატიული, ასევე ფარმაცევტული ბიზნესის ზომიერი ფარმაცევტული განვითარების უწყობა და არა მარტო მისი უზრუნველყოფა, სხვადასხვა მიმე დაავადებების დაძლევაში. ამ ცოდნა-გადიდებული უგუნერების გამო, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა არა ერთი უნიკალური წამლის დამზადების ტექნოლოგია, ვინაიდან, გარკვეულმა ჯგუფებმა შეგნებულად დაბლოკეს ქართული ფარმაცევტული მრეწველობა გამოგონილი ბრალდებებით, შეაფერხეს გამოშვებული წამლების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში.

მსოფლიო საუკუნეებია სწავლობს დაბერების საწინააღმდეგო პროცესების, სიცოცხლის ხანგრძლივობის, ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ორგანიზმის სწორი ბიოაქტივაციის საკითხებს.

ამ დროს ბევრმა არ იცის, რომ ქართულ ხალხურ მედიცინას, მის უნიკალურ სამკურნალო მცენარეებს, ამ მიმართულებით სასწაულებს მოხდენა შეუძლია.



ძებია, რასაც გამოყენება სჭირდება. ქართველი ერი მართლაც ყურძნისა და ხორბლის მრავალი ჯიშების, გენიალური ეპოსის, განსაკვირებელი მრავალხმიანი სიმღერებისა და საგალობლების ავტორი და შემოქმედი როდია, არამედ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის უნიკალურ მეთოდებსაც ფლობს. წარსულში შექმნილი არაერთი უნიკალური წამალი დღეს კიდევ უფრო დახვეწილი და გამდიდრებულია თანამედროვე ავტორ-მკურნალთა მიერ.

მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაცია აღიარებს, რომ სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება შეუძლებელია ხალხური მედიცინის ტრადიციების აღდგენის, დანერგვის, განვითარების და მომავალში მისი შენარჩუნების გარეშე.

ჩვენმა წინაპრებმა შემოგვიანხეს ცოდნა და გამოცდილება იმისა, თუ როგორ და რა პირობებში მოვიძიოთ საჭირო ნედლეული სამკურნალო სა-

არქეოლოგიურ ნივთმტკიცებულებებზე დაყრდნობით ეჭვიმუხტანლად შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთში 35 საუკუნის წინ სამკურნალო ხელოვნება თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, იარაღებით, დამოუკიდებელ დარგად არსებობდა, თანაც საგანგებო პროფესიული ემბლემით – გველის გამოსახულებით.

საქართველოს ყველა კუთხეში ხალხური მედიცინის შესწავლის მიზნით ჩატარებული ექსპედიციის დროს გაირკვა, დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით სამეგრელოში) დღეს მალზე ბევრი სახალხო მკურნალია. ცოდნა უაღრესად გასაიდუმლოებულია და შთამომავლობით გადაცემა, ჩანს ეს და ეზოთერული ცოდნის რუდემენტის (საწყისის) სახითაა ხალხში შემონახული. ტყუილად არ უწოდებდა რუდილფ შტაინერი კოლხეთის მისტერიების (სადუმლოებების) ქვეყანას.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული სამედიცინო წიგნი X სა-

საკითხებს. ამ დროს ბევრმა არ იცის, რომ ქართულ ხალხურ მედიცინას, მის უნიკალურ სამკურნალო მცენარეებს, ამ მიმართულებით სასწაულებს მოხდენა შეუძლია.

აქვე ორიოდ სიტყვა ვთქვათ სამედიცინო ტურიზმზე, როგორც შედარებით ახალ, მაგრამ სწრაფად განვითარებადი დარგზე. მისი ზრდის ტემპები ტურიზმის სხვა სექტორებს შორის ყველაზე მაღალია.

სამედიცინო ტურიზმის მზარდ მიზნულად მიზნდება ის ფაქტი, რომ მსოფლიოში 50-ზე მეტი ქვეყანა უნიკალური ტურიზმის განვითარებას სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ახდენს ახვანდით.

სამედიცინო ტურიზმი გულისხმობს პაციენტების საზღვარგარეთ მოზარდობას სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. ამ კუთხით საქართველოს გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი. ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოში არსებული ყველა სამედიცინო პროფილის კურორტია, სადაც არსებობს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: მინერალური წყალი, ტალახი, გამაჯანსაღებელი ჰავა და აუცილებელი პირობები მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოყენებისთვის.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას არა მარტო ბუნებრივი რესურსები, არამედ ადგილობრივი წარმოშობის პრეპარატებიც უწყობს ხელს. ბავშვებზე რომ გადაავლოთ თვალი, მაგალითად, „სალხინოს“ წამლებით მოპოვებულ შედეგებს, ისიც მიხვდება, რომ გასაცარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუმცა, რიგი მიზეზების გამო, ხელოვნურად ვიბლოკებით, თორემ

ვერაგი დაავადების, მასტიტისა და კისტოზური მასტოპათიის, წამალი გამოგონებულია საქართველოში, ამ ფაქტს ვერ უარყოფს მსოფლიო მედიცინის ვერც ერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

ხალხური მედიცინის აღორძინება, მს არის ფარმაცეუტული განვითარება, მასპორტი, ბიო-ჯეოგრაფიული მრავალფეროვნების განვითარება, მს არის მაღალმთიანი რეგიონებში ბავშვთა ჯანდაცვის სამსახურის მცენარეების მოხარება და კულტივაცია, ამ მიზნით უარყოფილი ნაკვეთების გამოყოფა, მასზე სოფლის მოსახლეობის დასაქმება და რაც მთავარია, ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის წინადადებად მართი დიდი ნაბიჯი.

სწორი დაგეგმვის პირობებში კი სამედიცინო ტურიზმს საკმაოდ დიდი რაოდენობით ტურისტების მოზიდვა შეუძლია. ეს სფერო უნდა გახდეს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი. ჩვენ შეგვიძლია მოვიწვიოთ სამკურნალოდ მრავალი ადამიანი და ჩვენს გამოგონებულ შედეგებით საქართველო მსოფლიო სამედიცინო ბაზარზე ერთ-ერთი მოთხოვნილი სახელმწიფო გახდეთ.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმის საბაზენტო, რომელიც ხელს შეუწყობს ყოველივე აღნიშნულის განხორციელებას. რაც საშუალებას მოგვცემს ქვეყანაში გაჩნდეს დასაქმების და შემოსავლების უმრავლესი წყარო.

საქართველო კავკასიაში ყველაზე მრავალფეროვანი ქვეყანაა. აქ თავმოყრილია, ფაქტობრივად, კავკასიის ყველა ლანდშაფტური ერთეული. უფლის მიერ ბოძებული გეოგრაფიული არეალი გვაძლევს ბუნებრივი რესურსების ულვე მარაგს.

საქართველოს წილად ერგო ყველაზე დიდი მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობა – ტრადიციული და ხალხური მედიცინა, უნიკალური სამკურნალო მცენარეების სიუხვე, რაც ეროვნული და ზოგადსაქართველო მნიშვნელობის საგანძურია.

როინ ნაჭყვიაძე
სახალხო მკურნალი,
წამალ „სალხინოს“ და
„ფერდის“ ავტორი
577 94 49 84

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამოცემა უზრუნველყოფილია
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლადის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001